პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 49 (10746) | ოთხშაბათი, 27 თებერვალი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის ყველა მეშახტისა და შახტმშენებლისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი საყვარელი სამშობლო მკვეთრი აღმავლობის გზაზეა. მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ენერგიით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. სულ უფრო მეტად ვითარდება სახალხო მეურნეობა, უმჯობესდება მშრომელთა ცხოვრების პირობები, მტკიცდება ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება.

წარმატებით დამთავრდა მეექვსე ხუთწლედის პირველი წელი. მძიმე მრეწველობამ, რომელიც მთელი სოციალისტური მეურნეობის საფუძველია, ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის გზაზე. ჩვენს ქვეყანაში ახლა იღებენ გაცილებით მეტ ქვანახშირს, აწარმოებენ მეტ ლითონს, მანქანებს, ელექტროენერგიას, სახალხო მოხმარების საქონელსა და სხვა სახეობათა პროდუქციას.

ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური მხარდაჭერით, მტკიცედ იბრძოდა და იბრძვის ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. პარტიის ნებით გატეხილი ყამირის თვალუწვდენ სივრცეებში მოყვანილია ხორბლის უხვი მოსავალი. სახელმწიფო ბეღლებს ჯერ არასოდეს არ მიუღიათ იმდენი პური, რამდენიც გასულ წელს მიიღეს. ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ბევრად მეტი რძე, ხორცი, ბოსტნეული, კარტოფილი.

დიდი სიხარულით და პატრიოტული სიამაყით შეხვდა საბჭოთა ხალხი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოპოვებულ წარმატებებს. ამ წარმატებათა მოპოვებას ცოტა შრომა როდი მოახმარეს დონბასის მეშახტეებმაც. ქვანახშირი, როგორც ჩვენი მშობლიური ილიჩი ამბობდა, მრეწველობის ნამდვილი პურია. სწრაფად მზარდ სოციალისტურ მეურნეობას სულ უფრო მეტი სათბობი ესაჭიროება. მეშახტეები არ იშურებენ ძალღონეს, რათა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

სამშობლოს ეკონომიკისა და ძლიერების განმტკიცებისათვის, მთელი ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის მკაფიო დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შევიტანოთ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, საჭიროა მნიშვნელოვნად გავადიდოთ ქვანახშირის ამოღება, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი შახტების. მშენებლობების მუშაობაში, უკეთ გამოვიყენოთ ტექნიკა, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ ქვანახშირისა და სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი და შევამციროთ მათი თვითღირებულება, გავაუმჯობესოთ სამეურნეო ხელმძღვანელობა და დაგეგმვა საწარმოებში და მშენებლობებზე.

შარშან ჩვენ, დონბასის მეშახტეებს, დიდ სიძნელეთა გადალახვა მოგვიხდა. ამაში ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია პარტიამ და მთავრობამ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავიანთ დადგენილებებში უკრაინის სს რესპუბლიკაში ქვანახშირის მრეწველობისა და საშახტო მშენებლობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ აღნიშნეს, თუ რანაირად უნდა გარდაიქმნას შახტების მუშაობა, რომ მეტი ქვანახშირი ამოვიღოთ, რომ მეშახტეთა შრომა უფრო ადვილი გახდეს, გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, გაიზარდოს მაღაროელთა შემოსავალი.

ჩვენმა ქვეყანამ უკვე იგრძნო დონბასის მაღაროელებისათვის პარტიისა და მთავრობის მამობრივი ზრუნვის პირველი ნაყოფი. ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხეს ამ ზრუნვას მეშახტეებმა, და გასული წლის მეოთხე კვარტალში აუზის თითქმის ყველა შახტმა გაადიდა ქვანახშირის ამოღება. მუშაობა გააუმჯობესეს დონბასის შახტმშენებელმა ორგანიზაციებმაც.

მიმდინარე წელს ჩვენს წინაშე დასახულია კიდევ უფრო რთული და პასუხსაგები ამოცანები. **დონბასმა ქვანახშირის ამოღება უნდა გაადიდოს 10 პროცენტით, ეს კი შეადგენს 12 მილიონ ტონას. უნდა აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 73 ახალი შახტი და 10 გამამდიდრებელი ფაბრიკა.** უკრაინის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ინიციატივით 35 შახტი აშენდება ჩქაროსნული მეთოდებით — ერთ წელიწადში.

ჩვენ უნდა ავაშენოთ და საექსპლოატაციოდ გადავცეთ ორჯერ და უფრო მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე შარშან. დონბასის მეშახტეთა და შახტმშენებელთა 40 ათასზე მეტი ოჯახი მიიღებს ახალ ბინებს. ქვანახშირის მუშათა დაბებში აშენდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 353 ობიექტი, მათ შორის 17 საავადმყოფო და პოლიკლინიკა, 43 სკოლა, 96 საბავშვო ბაღი და საბავშვო ბაგა, 53 სასადილო, 37 მაღაზია, 53 კლუბი და სხვა ობიექტები.

ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ამ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტა სერიოზული და ძნელი საქმეა. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს საწარმოთა ხელმძღვანელობაშიც, წარმოების დაგეგმვაშიც. დიდძალი შახტები, მშენებლობანი და უბნები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ გეგმებს. ბევრ მათგანში ძალიან დაბალია შრომის ნაყოფიერება. ბევრი ლავა ვერ ასრულებს ციკლურობის ნორმატივებს, ცუდად იყენებს მანქანებსა და მექანიზმებს. ჯერ კიდევ არ არის ჯეროვანი სიმტკიცე ქვანახშირისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში, საკმაოდ არ ვრცელდება წარმოების ნოვატორთა მუშაობის გამოცდილება.

ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და მისი თვითღირებულების შემცირების ძირითადი რეზერვია შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა. ამიტომ ჩვენ კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით ვიბრძოლებთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების, ტექნოლოგიური პროცესის ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობის უზრუნველყოფის გზით. ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიწისქვეშა ტრანსპორტის მუშაობის მოგვარებას, რომელიც ყველაზე „ვიწრო ადგილია“ ჩვენს შახტებში. იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ მოცდენა და სრულად გამოვიყენოთ სამუშაო დღე, ჩვენ გავაუმჯობესებთ სამუშაო ადგილის მომზადებას, აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს შრომის ორგანიზაციაში, ფართოდ დავნერგავთ მოწინავე გამოცდილებას.

ძალიან საჭიროა გაუმჯობესდეს ასაწმენდ სამუშაოთა ფრონტისა და მექანიზმების გამოყენება, დაჩქარდეს სანგრევთა ხაზების გაყვანა. მოწინავე შახტების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს შეიძლება მიღწეულ იქნას ლავებში მუშაობის ციკლური ორგანიზაციის საფუძველზე. **დონბასი მთლიანი ციკლურობის აუზი უნდა გახდეს.**

თანამედროვე სამთო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები საშუალებას იძლევიან უფრო ფართოდ განვახორციელოთ შახტებში სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. 1957 წელს, კომბაინების საშუალებით ქვანახშირის დაყრის შემდგომ მექანიზაციასთან ერთად, ჩვენ ამოცანად ვისახავთ მასობრივი მასშტაბით გამოვიყენოთ დამრეცი ვარდნის ფენებში უფრო მეტი წარმადობის ვიწროპირიანი კომპლექსები ქვანახშირის ამოსაღებად.

ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევამციროთ შახტებიდან ქანების ამოღება, გადავიდეთ სამთო გვირაბების ფართო სვლით გაყვანაზე და ლავების გრძელი სვეტებით დამუშავებაზე საშახტო არეებისა და ამოსაღები უბნების საზღვრებიდან. ეს ქვანახშირის ამოღების გადიდების დიდი რეზერვია. ტექნიკის უკეთ გამოყენების, საბურღავ-ასაფეთქებელ სამუშაოთა გაუმჯობესების და გვირაბგამყვანთა ბრიგადების განმტკიცების გზით ჩვენ მნიშვნელოვნად გავაძლიერებთ მოსამზადებელი გვირაბების გაყვანის ტემპებს.

ლავებსა და მოსამზადებელ სანგრევებში შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ახალი სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, იზრდება კომპლექსური ბრიგადების როლი. ჩვენი ამოცანაა მოვაწყოთ მასობრივი მომზადება კომპლექსური ბრიგადების მუშებისა, რომლებიც შეძლებენ შეასრულონ ყველა საწარმოო ოპერაცია ასაწმენდ და მოსამზადებელ სანგრევებში.

ქვანახშირის ამოღების შემდგომი განვითარება ბევრად იქნება დამოკიდებული შახტმშენებელთა მუშაობის გაუმჯობესებაზე, ახალი შახტების, გამამდიდრებელი ფაბრიკების, ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დროულ ამუშავებაზე.

დონბასის შახტმშენებლები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მნიშვნელოვნად შეამცირონ ქვანახშირის საწარმოთა აგების ვადები მშენებლობისათვის მომზადების გაუმჯობესების, მოწინავე ტექნოლოგიისა და ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის, სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის განხორციელების გზით. ჩვენ ფართოდ გამოვიყენებთ ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებსა და დეტალებს, მოვაწყობთ ნაკადურ მსხვილბლოკიან და მსხვილპანელიან მშენებლობას, გავაძლიერებთ ვერტიკალური ჭაურების, ჰორიზონტალური და დახრილი გვირაბების გაყვანის ტემპებს. სერიოზულ ყურადღებას მივაქცევთ სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოო ბაზის შემდგომ გაფართოებასა და გაუმჯობესებას.

ჩვენი ღირსების საქმეა ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების რაც შეიძლება მალე აგება. სახელმწიფომ უდიდესი სახსრები გამოჰყო ბინების, კლუბების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობისათვის, დონბასის მეშახტეთა დაბების კეთილმოწყობისათვის. უზრუნველვყოფთ ამ სახსრების მთლიანად გამოყენებას, აღმოვფხვრით დაქსაქსულობას მშენებლობაში, ავაშენებთ სწრაფად, იაფად და კარგად. ტრესტ „კადიევუგოლის“ № 6-6-ბის შახტის მაღაროელთა მაგალითისამებრ ფართოდ გავაჩაღებთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას თვით შახტების მშრომელთა აქტიური მონაწილეობით.

ყოველი საქმის ბედს ადამიანები წყვეტენ. ჩვენში გაიზარდნენ სამეურნეო ხელმძღვანელთა და წარმოების მეთაურთა შესანიშნავი კადრები, მათ ძალუძთ გადაწყვიტონ რთული საწარმოო-ტექნიკური და ეკონომიკური ამოცანები, რომლებიც ქვანახშირის მრეწველობის განვითარების პროცესში წამოიჭრება.

დონბასის მეშახტეები ამაყობენ თავიანთი მოწინავეებით და ნოვატორებით. ჩვენი აუზის ფარგლებს გარეთ შორს არიან ცნობილნი ქვანახშირის კომბაინის მემანქანეები ალექსანდრე პატლატიუკი, ანატოლი კულიკი, ვასილ მიროშნიჩენკო, ივანე სტეფანჩიშინი; მიწისქვეშა ელმავლების მძღოლები ვასილ პისმენი და ვასილ ბულავინი; გვირაბგამყვანები ივანე შაროვარსკი და მიხეილ შევცოვი. ჩვეულებრივზე სამ-ოთხჯერ უფრო სწრაფად გაჰყავთ გვირაბები მშენებლობის პროცესში მყოფ შახტებში ნიკოლოზ ტოლმაჩოვის, ვასილ კირილჩუკის, მიხეილ კროპოტოვის, ივანე პილიპენკოს, ვასილ ტინიკოვის ბრიგადებს. წარმოებისა და მშენებლობის უნარიან ორგანიზატორებად გამოიჩინეს თავი უბნების უფროსებმა ამხ. რუშეტნიაკმა, ბრიდკომ, დენისოვმა, ნოგაიცევმა; შახტების უფროსებმა: რუმიანცევის სახელობის შახტისა — ამხ. პრიახინმა, № 4-5 „ნიკიტოვკის“ შახტისა — ამხ. კოხანმა, № 2 „ზოლოტოეს“ შახტისა — ამხ. ვოროშილოვმა, № 2 „სევერნაიას“ შახტისა — ამხ. გორლოვმა; № 8 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ამხ. სოკოლოგორსკიმ, № 9 გვირაბგაყვანის სამშენებლო სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ამხ. პშენიჩნიმ, დარიევსკის სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ამხ. ლიფონენკომ და ბევრმა სხვამ.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ მიმართული პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინა ტრესტ „კრასნოდონუგოლის“ № 2 „სევერნაია“ შახტის მნგრეველთა ბრიგადირმა ნიკოლოზ მამაიმ და ტრესტ „რუტჩენკოვუგოლის“ № 17-17-ბის შახტის მნგრეველ-მტვირთავთა ბრიგადირმა ფელიქს იგნატოვიჩმა, რომლებმაც დაიწყეს შეჯიბრება ყოველ ცვლაში ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შახტ „კოჩეგარკის“ მნგრეველებმა გადაწყვიტეს ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით ამოიღონ ხუთ-ხუთი ტონა ქვანახშირი. ასეთი ვალდებულების შესრულება ძალუძს თვითეულ მნგრეველს. თუ დონბასის ყველა მაღაროელი, ხოლო მათ შემდეგ ქვანახშირის სხვა აუზების მაღაროელებიც ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს ამ თაოსნობას, ჩვენი ქვეყანა დამატებით მიიღებს ასობით ეშელონ ქვანახშირს.

დონბასის მეშახტეთა და შახტმშენებელთა რიგებს შეემატა ათეულ ათასობით ახალგაზრდა მუშა, რომლებიც კომკავშირული საგზურებით მოვიდნენ.

ჩვენი მოვალეობაა ყურადღებით და მზრუნველობით ვეპყრობოდეთ ახალგაზრდა პატრიოტებს, დავეხმაროთ მათ პროფესიების დაუფლებაში, შევუქმნათ ნორმალური საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები, გამოვზარდოთ მათგან ქვანახშირისა და საშახტო მშენებლობის ნამდვილი ოსტატები.

ძვირფასო ამხანაგებო!

წელს სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავი. ჩვენთვის, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, უსაზღვროდ ძვირფასია ეს ისტორიული თარიღი. ორმოცი წლის წინათ რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირით კომუნისტური პარტიისა და დიდი ლენინის ხელმძღვანელობით პირველად კაცობრიობის ისტორიაში საკუთარ ხელში აიღო ძალაუფლება. ლენინური გზით მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი სამშობლო მიიყვანეს სოციალიზმის გამარჯვებამდე და მტკიცე რწმენით მიჰყავთ კომუნიზმისაკენ.

თვითეული საბჭოთა ადამიანის პატრიოტული მისწრაფებაა შეხვდეს დიდი ოქტომბრის 40 წლისთავს ახალი წარმატებებით შრომაში, კიდევ უფრო განადიდოს თავისი საყვარელი სამშობლო.

ჩვენ, დონბასის შახტების, მშენებლობათა, ქვანახშირის მანქანათმშენებლობის ქარხნების, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა, დამპროექტებელი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, მივმართავთ საბჭოთა კავშირის ყველა მეშახტესა და შახტმშენებელს მოწოდებით — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. განვიხილეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს დონბასის საწარმოებში

1. გადაჭარბებით შევასრულოთ ქვანახშირის ამოღების 1957 წლისათვის დადგენილი სახელმწიფო გეგმა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მოქმედ შახტებში ათი თვის გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 500 ათასი ტონა ქვანახშირი, აქედან: „გლავსტალინუგოლის“ შახტებში — 140 ათასი ტონა, „გლავარტიომუგოლის“ შახტებში — 160 ათასი ტონა, „გლავვოროშილოვგრადუგოლის“ შახტებში — 100 ათასი ტონა და „გლავდონბასანტრაციტის“ შახტებში — 100 ათასი ტონა.

2. მოსამზადებელ სამუშაოთა წლიური პროგრამა შევასრულოთ 101 პროცენტით.

3. მუშათა შრომის ნაყოფიერების გეგმა შევასრულოთ 102 პროცენტით.

4. მიმდინარე წლის დამლევამდე უზრუნველვყოთ ყველა მოქმედი ლავის სულ ცოტა 50 პროცენტის მუშაობა გრაფიკით — ციკლი დღეღამეში, 500 ლავში დავნერგოთ ქვანახშირის ამოღების ვიწროპირიანი კომპლექსები. 1957 წლის მეოთხე კვარტალში კომბაინებით ქვანახშირის მექანიზებული დატვირთვის დონე ავამაღლოთ 59 პროცენტამდე. მოვაწყოთ მოსამზადებელი გვირაბების გაყვანა ფართო სვლით 520 სანგრევში, რაც თითქმის 3 მილიონი ტონით შეამცირებს შახტებიდან ქანის ამოღებას.

5. 7 ნოემბრისათვის სამეურნეო წესით ავაშენოთ 9 ახალი შახტი და 455 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 133 ობიექტი, მათ შორის 5 საავადმყოფო და პოლიკლინიკა, 18 სკოლა, 29 საბავშვო ბაღი და ბაგა, 28 სასადილო, 25 მაღაზია, 16 კლუბი და კინოთეატრი, აქედან: 5 შახტი და 261 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — სტალინოს ოლქში, 4 შახტი და 194 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — ვოროშილოვგრადის ოლქში.

უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს დონბასის მშენებლობებზე და საწარმოებში

1. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა დონბასში შევასრულოთ 28 დეკემბრისათვის.

2. ავაშენოთ და საექსპლოატაციოდ გადავცეთ 64 შახტი, მათ შორის: სტალინოს ოლქში — 36 შახტი და ვოროშილოვგრადის ოლქში — 28 შახტი. ასამუშავებელი შახტების საერთო რიცხვიდან უკრაინის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ძალებით ჩქაროსნული მეთოდებით ავაშენოთ და ავამუშაოთ 1957 წელს 35 შახტი.

3. ვადამდე, 25 დეკემბრისათვის, შევასრულოთ 836 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის — შარშანდელზე 2,6-ჯერ მეტის — მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა; აქედან: სტალინოს ოლქში — 471 ათასი კვადრატული მეტრისა და ვოროშილოვგრადის ოლქში — 365 ათასი კვადრატული მეტრისა. დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის საექსპლოატაციოდ გადავცეთ 750 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

4. ავაშენოთ და საექსპლოატაციოდ გადავცეთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 220 ობიექტი, მათ შორის 37 კლუბი და კინოთეატრი, 12 საავადმყოფო და პოლიკლინიკა, 25 სკოლა, 67 საბავშვო ბაგა და საბავშვო ბაღი, 25 სასადილო და 12 მაღაზია.

5. სამთო გვირაბების გაყვანის წლიური გეგმა შევასრულოთ 25 დეკემბრისათვის. ასაწყობი რკინაბეტონის ბიგებით გავამაგროთ 33,5 ათასი გრძივი მეტრი სამთო გვირაბები — 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე შარშან.

6. დავამზადოთ და დავნერგოთ 1957 წელს 530 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის ნაკეთობანი, რათა 1 მილიონ მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე მოდიოდეს სულ ცოტა 130 კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონი.

საშენი მასალების წარმოების წლიური გეგმა შევასრულოთ 28 დეკემბრისათვის.

7. 1,5 პროცენტის გადაჭარბებით შევასრულოთ მუშის გამომუშავების გეგმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე, 0,5 პროცენტით შევამციროთ ამ სამუშაოთა გეგმიანი ღირებულება და მივიღოთ 16 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

დონბასის ქვანახშირის მანქანათმშენებლობის ქარხნებში

1. ვადამდე, 26 დეკემბრისათვის, დავამთავროთ სამთო-საშახტო მოწყობილობის გამოშვების წლიური პროგრამა და წლის ბოლომდე ლითონისა და მასალების ეკონომიის გზით გამოვუშვათ 20 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

2. შარშანდელთან შედარებით 40 პროცენტით გავადიდოთ ქვანახშირის მრეწველობის ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანების გამოშვება.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

პოლიტიკური განათლების კაბინეტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებისა და ახალ სასწავლო წელს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“ წინათ არსებული პარტიული ბიბლიოთეკები გარდაქმნილ იქნა პოლიტიკური განათლების კაბინეტებად და სახლებად. ამით ხაზგასმულია მათი უდიდესი მნიშვნელობა იდეოლოგიურ მუშაობაში. თუ წინათ ისინი კმაყოფილდებოდნენ მარტო წიგნების გაცემით და სამეურნეო-პოლიტიკურ თემებზე ხანგამოშვებით ლექციებისა და მოხსენებების მოწყობით, ახლა სახლებსა და კაბინეტებს დაკისრებული აქვთ მნიშვნელოვანი როლი პარტიული განათლების სისტემაში, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

კაბინეტები მოწოდებული არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებს, მათთვის სისტემატურად მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები, გააცნონ მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებზე მუშაობის მეთოდები, მრავალ წყაროზე ერთდროულად მუშაობის ხერხები, წაკითხულის კონსპექტირება, ჩანაწერების გაკეთება, მიუთითონ ლიტერატურა ცალკეულ თემებზე, პრობლემატურ საკითხებზე და სხვ. სისტემატურად უნდა უწევდნენ ინსტრუქტაჟს პროპაგანდისტებს, კონსულტანტებს, ლექტორებს, მომხსენებლებს, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს, აგიტატორებს, დროულად უნდა აცნობდნენ მათ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს. კაბინეტების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობის გამოცდილების განზოგადება და გავრცელება.

აუცილებელია პოლიტიკური განათლების კაბინეტებში სისტემატურად ეწყობოდეს ხელმძღვანელი მუშაკების ლექციები, მოხსენებები აქტუალურ პოლიტიკურ და სამეურნეო საკითხებზე.

კაბინეტებში ყოველთვის უნდა იყოს ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი მასალები, მოწინავე ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, კულტურული დაწესებულებების მიღწევათა მაჩვენებლები, მასალები შრომაში წარჩინებულ ადამიანთა მიღწევების, მათი გამოცდილების შესახებ, რათა ისინი გამოიყენონ პროპაგანდისტებმა, აგიტატორებმა. მოწყობილი უნდა იყოს გამოფენები, სტენდები, ფოტოვიტრინები და სხვა თვალსაჩინოება. გარდა ამისა, კაბინეტები მოვალენი არიან გასწიონ საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა, შეადგინონ რეკომენდებული ლიტერატურის სიები ყველა ტიპის წრეების, სკოლებისა და სემინარების პროპაგანდისტებისათვის, აგრეთვე აგიტატორებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ბევრმა კაბინეტმა მიმდინარე სასწავლო წელს ახლებურად და საინტერესოდ მოაწყო მუშაობა. ისინი ყოველდღიურად სერიოზულ დახმარებას უწევენ პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს, ლექტორებს, მომხსენებლებს, კონსულტანტებს, წრეების, სკოლების, სემინარების მსმენელებს, პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებს. პარტიის მახარაძის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის სისტემატურად ეწყობა სემინარები და კონსულტაციები, ლექციები და მოხსენებები, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება და გავრცელება. კაბინეტში კარგად არის წარმოდგენილი თვალსაჩინოება: სქემები, დიაგრამები, ალბომები, ფოტოგამოფენები, ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი სხვა მასალები, რაც დიდად ეხმარება ამხანაგებს პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობის უკეთ მოწყობაში.

საგრძნობლად გააუმჯობესა იდეოლოგიური მუშაობა ინტელიგენციაში პარტიის ზუგდიდის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტმა. აქ სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები, კონსულტაციები, საინსტრუქტაჟო თათბირები და სხვ. გამოფენილია თვალსაჩინო მასალები, დიაგრამები, რეკომენდებული ლიტერატურა და ა. შ., რომლებსაც ყოველდღიურად იყენებენ პროპაგანდისტები და აგიტატორები, პარტიული განათლების სხვადასხვა ფორმაში გაერთიანებული ამხანაგები.

ასევე კარგად მუშაობს პარტიის ქედის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტიც. ასეთი მოწინავე კაბინეტები ერთეულები როდია.

მაგრამ, სამწუხაროდ, კაბინეტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ართმევს თავს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. მაგალითად, პრიმიტიულად, უსისტემოდ, არაორგანიზებულად მუშაობს პარტიის კასპის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტი. იგი საჭირო დახმარებას ვერ უწევს პროპაგანდისტებს, ლექტორებს, მომხსენებლებს, კონსულტანტებს, არ ახდენს მოწინავე პროპაგანდისტთა და აგიტატორთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას. პროპაგანდისტებისა და მსმენელებისათვის ცალკე სასწავლო თემების მიხედვით მოწყობილი არ არის ლიტერატურის გამოფენა, ნაკლებად მოიპოვება რაიონის ეკონომიკისა და კულტურული ცხოვრების, შრომის მოწინავეთა მიღწევების ამსახველი მასალები. გამოყოფილი არ არის კონსულტანტთა გამსვლელი ჯგუფი, რომელიც შორეულ სოფლებში, ადგილებზე დაეხმარება ამხანაგებს რთული საკითხების გარკვევაში.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვს პარტიის წალენჯიხის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტსაც. იგი სასარგებლო მეთოდურ რჩევა-დარიგებას ვერ აძლევს პროპაგანდისტებს, ნაკლებად ეწევა მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობა. ძალიან ცუდად მუშაობს პარტიის ბორჯომის რაიკომის კაბინეტიც. სამწუხაროდ ყოველივე ეს გამონაკლისი როდია.

კაბინეტებში ჯერ კიდევ არ არის კარგად დაყენებული წიგნის ფონდის დამუშავების საქმე. საჭიროა ამ მდგომარეობის გამოსწორებას სერიოზული ყურადღება მიექცეს, ეს ხელს შეუწყობს მუშაობის გაუმჯობესებას.

კაბინეტებზე ბევრად არის დამოკიდებული მოსახლეობაში საგიტაციო მუშაობის გაუმჯობესება. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში ბევრმა კაბინეტმა გააცხოველა აგიტატორებისადმი დახმარება. ეწყობა აგიტატორთა სემინარები, თათბირები, გამოცდილების გაზიარება. სერიოზული ყურადღება ეთმობა მათს აღჭურვას ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი მასალებით, ციფრობრივი მონაცემებით. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველა კაბინეტი ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. საჭიროა კაბინეტებმა არჩევნებისათვის მზადების დღეებში გააცხოველონ აგიტატორებთან მუშაობა, ქმედითი დახმარება გაუწიონ მათ, გაავრცელონ მოწინავე აგიტატორთა გამოცდილება.

კაბინეტები რომ უფრო მეტ მომსახურებას უწევდნენ პროპაგანდისტებს, აგიტატორებს, თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებს, საჭიროა ისინი მუშაობდნენ საღამოობით, აგრეთვე კვირა დღეებში.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია, რომელიც ამასწინათ ჩატარდა, უდიდესი მოვლენაა ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. პოლიტიკური კაბინეტების ამოცანაა ფართო დახმარება გაუწიონ პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს, რათა მათ ფართოდ გააცნონ მშრომელებს პლენუმებისა და სესიის ისტორიული გადაწყვეტილებანი, დარაზმონ ისინი მათი წარმატებით შესრულებისათვის.

პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები მოწოდებული არიან გაუღვივონ კომუნისტებსა და უპარტიო ამხანაგებს ინტერესი მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი, ყოველმხრივ დაეხმარონ პროპაგანდისტებსა და ლექტორებს პარტიული განათლების საქმის უკეთ დაყენებაში. ამ ამოცანას ისინი თავს გაართმევენ მხოლოდ მაშინ, როცა პარტიის რაიკომები, საქალაქო კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები მუდმივი ინტერესით მოეკიდებიან მათს საქმიანობას, ყოველდღიურად დაეხმარებიან იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაში.

ბროშურად გამოიცა ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ა. გ. ზვერევის მოხსენება და საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე „სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

ბროშურაში შეტანილია აგრეთვე კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ბროშურა გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საქპრესი).

საბჭოთა კავშირის ყველა მეშახტისა და შახტმშენებლისადმი

(დასასრული)

3. 0,5 პროცენტით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით და მივიღოთ 5 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

4. ავაშენოთ ქარხნების ძალებით 23 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — სამჯერ მეტი, ვიდრე შარშან.

საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში

დონბასის ქვანახშირის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო დაპროექტებელი ინსტიტუტის კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას შექმნას 1957 წელს ასაწმენდ სამუშაოთა მექანიზაციისათვის დიდი წარმადობის ვიწროპირიანი კომპლექსი მაქოსებრი მოქმედების კომბაინით და ქვანახშირის ახალი კომბაინი სხვადასხვა სიმძლავრის ფენებში ქვანახშირის ამოსაღებად, შექმნას კომპლექსური მოწყობილობა მოსამზადებელი გვირაბების ფართო სვლით და გამომუშავებულ სივრცეში ქანების ვსებით გაყვანის მექანიზაციისათვის.

დონეცის ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა გადაწყვიტა იკისროს ვალდებულება — შეიმუშაოს და დანერგოს მეწყერიან ნიადაგში მკვეთრი დაქანების ფენებში სახურავის მართვის უფრო ეფექტიანი ხერხი; შეიმუშაოს და დანერგოს სქემა ახალი დანადგარისა ქვანახშირისა და ქანის ჰიდროტრანსპორტისათვის.

საპროექტო ორგანიზაციების მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 1957 წლის 28 დეკემბრისათვის და დროზე უზრუნველყონ მშენებლობანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენს ქვეყანაში მეშახტის პროფესია მაღლა აყვანილი და დიდებით მოსილია. იგი მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღებითა და სიყვარულით სარგებლობს. ჩვენ აღგვაფრთოვანებს მეშახტეთა გმირული, რევოლუციური და შრომითი ტრადიციები — ისინი მოგვიწოდებენ ახალი გმირობისათვის, თავდადებული შრომისათვის. უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა შახტებში, მშენებლობებზე და ქვანახშირის სხვა საწარმოებში! შევხვდეთ ღირსშესანიშნავ თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს გეგმის გადამეტებით ამოღებული ასეულათასობით ტონა ქვანახშირით.

მივცეთ მეტი ქვანახშირი ჩვენს საყვარელ სამშობლოს!

განხილული და მიღებულია დონბასის შახტების, მშენებლობების, ქვანახშირის მანქანათმშენებლობის ქარხნების, გამამდიდრებელი ფაბრიკებისა და ქვანახშირის სხვა საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებებზე. განხილვაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით ერთმა მილიონმა მშრომელმა.

შაქრის მრეწველობა 1957 წელს

მიმდინარე წელს შაქრის ქარხნებმა 670 ათასი ტონით, ანუ 20 პროცენტით მეტი შაქარი უნდა გამოიმუშაონ, ვიდრე გასულ წელს.

პროდუქციის გამოშვების ზრდას უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეთა გადიდება ვიწრო ადგილების აღმოფხვრისა და მოქმედი ქარხნების რეკონსტრუქციის და ახალი ქარხნების მშენებლობის გზით. დასახულია ამუშავდეს შვიდი ქარხანა მოლდავეთში, უკრაინასა და ტამბოვის ოლქში.

მიმდინარე წელს დიდი ყურადღება ექცევა ახალი ტექნიკის ათვისებას. მაგალითად, ჭარხლის დაკაგატების და ავტომანქანებიდან მისი გადმოტვირთვის მექანიზაციისათვის დაინერგება ნოვატორი ზეინკლის ამხ. ობრივკოს კონსტრუქციის 600 ბურტდასაწყობი. ახალი აგრეგატით შეიძლება ერთიორად უფრო მაღალი კაგატის კეთება, ვიდრე ხელით წყობის დროს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჭარხლის შენახვის პირობებს.

შაქრის ქარხანაში შრომატევადი სამუშაოა კაგატების შემობარვა და მიწით დაფარვა, რათა ჭარხალი ხანგრძლივად შეინახოს. დღემდე ეს ოპერაცია ხელით სრულდებოდა. მიმდინარე წელს დასახულია გააკეთონ და საწარმოებს მიაწოდონ შაქრის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კონსტრუქციის 120 ბურტსაფარი მანქანა. ასეთ მანქანას, რომელიც 24 მუშის შრომას ასრულებს, ერთი კაცი მართავს.

ქარხნები მიიღებენ 50 გრეიფერულ ამწეს და 50 მღარავ ნიჩაბს, რომლებითაც ხორციელდება ჭარხლის, სათობებისა და კირქვის დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციების მექანიზაცია.

ოცზე მეტი საამქრო იმუშავებს ბადაგიდან დამატებითი შაქრის მისაღებად. ეს შვიდი-რვა პროცენტით გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას.

საწარმოებში გაგრძელდება აგრეთვე ახალი უფრო სრულყოფილი აპარატების — განუწყვეტლივ მოქმედი სადიფუზიო დანადგარების, სწრაფმავალი ცენტრიფუგების, ვაკუუმ-საფილტრაციო დანადგარებისა და სხვა აპარატების დანერგვა. (საქდესი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★

მეშახტეები იბრძვიან ვალდებულებათა შესრულებისათვის

ტყიბული. (საკ. კორ.). ჩაებნენ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მეშახტეები ყოველდღიურად ზრდიან მუშაობის ტემპს. უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებები. განსაკუთრებული შრომითი აღმავლობა იგრძნობა საქართველოს მეშახტეთა შორის შეჯიბრების ინიციატორის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივში. ამ ცოტა ხნის წინათ მეორე უბნის კოლექტივი, რომელსაც ა. ცირეკიძე ხელმძღვანელობს, დღეღამეში ძლივს იძლეოდა 154 ტონა ქვანახშირს. შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ უბნის კოლექტივმა მკვეთრად გარდაქმნა მუშაობა და თებერვალში ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება 270 ტონამდე აიყვანა. ასევე კარგად მუშაობენ პირველი, მესამე და მეხუთე უბნების კოლექტივები.

ლენინის სახელობის შახტმა უკანასკნელ დღეებში გადააჭარბა საპროექტო სიმძლავრეს. გაიზარდა მუშათა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება, შესამჩნევად გადიდდა მეშახტეთა გამომუშავება. ფართოდ ინერგება შრომაში ქვანახშირის ნოპოვების მოწინავე მეთოდები და ახალი ტექნიკა. მეშახტეები დაუღალავად ეძებენ სათბობის ამოღების გადიდების რეზერვებს. ამ დღეებში შახტს შეემატა ახალი ღრმა ჰორიზონტი, სადაც მიმდინარეობს დაჭრითი სამუშაოები. სულ მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა მძლავრი სამთო ველი.

ტექნიკური პროგრესის გზით

ბათუმი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის აჭარის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოში — ბათუმის თამბაქოს ფაბრიკაში დაწყებულია მუშაობა საამქროთაშორისო კონვეიერების მოსაწყობად. თამბაქოსა და საჭილზე საამქროებიდან ნახევარფაბრიკატები პირდაპირ გადაეცემათ ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით მომდევნო საამქროებს.

პაპიროსის დამზადების ნაკადური ტექნოლოგიური ხაზების მოწყობა, როგორც წინასწარი გაანგარიშებით ჩანს, 10-15 პროცენტით ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, ქარხანა წელიწადში სულ ცოტა 380 ათას მანეთ ეკონომიას მიიღებს. გათვალისწინებულია აგრეთვე სართულებს შუა ნედლეულისა და მზა პროდუქციის გადაზიდვის მექანიზაცია სატვირთო ლიფტების გამართვით.

ქუთაისი. ლიტოპონის ქარხნის ბარიუმის საამქროში მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელა გამომწველმა მუშამ გ. ბრეგვაძემ. ჩაება რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იგი ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებს. სურათზე: გ. ბრეგვაძე ბარიუმის აღმდგენ ღუმელთან მუშაობის დროს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

ახალი პრეპარატები

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით იბრძვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გასამარჯვებლად.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებების შესრულებას ქარხნის კოლექტივი კარგად მომზადებული შეუდგა. უკვე მოწესრიგებულია როგორც ნედლეულის ბაზის მომზადების, ისე ტექნიკური მომარაგების საკითხები. მაგალითად, ტანინის საამქროსთან მოწყობილია შუშის ჩამბერავი განყოფილება, სადაც გამართულია საამპულე შუშის დამამზადებელი „ამბ ჯ ი ს" ტიპის 12 ნახევარავტომატი. იგი ქარხანას საკმაო რაოდენობით აწვდის ამპულებს, რომლებიც ბოლო დრომდე შორი მანძილიდან — კლინის შუშის ქარხნიდან შემოგვქონდა.

1957 წლის დასაწყისისათვის გავაფართოვეთ და კარგად მოვაწყვეთ სატაბლეტე-შემფუთავი საამქრო, სადაც გავმართეთ სამი მძლავრი მანქანა, ამავე საამქროში დავდგით და ავამუშავეთ ტაბლეტების შემფუთავი ცხრა ახალი მანქანა, რომლებიც შეცვლიან და გაათავისუფლებენ ტაბლეტების დამფასოებელი მუშების 37 პროცენტს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ქარხნის კოლექტივი შეუდგა მთელი რიგი ძვირფასი პრეპარატების გამოშვებას. თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი საბჭოთა კავშირში პირველი აითვისებს მიმდინარე კვარტალში სინტომიცინის გამოშვებას დაფასოებულად კონვალიუტში (სპეციალური ქაღალდის გარეკანი). ასე დაფასოებული სინტომიცინი მომხმარებლებისათვის მეტად მოხერხებულია. ამ პრეპარატს, როგორც ცნობილია, იყენებენ კუჭ-ნაწლავთა დაავადებების სამკურნალოდ. გარდა ამისა, ქარხნის კოლექტივი თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით მეორე და მესამე კვარტალში გამოუშვებს ოთხ ახალ პრეპარატს: სათითურანს, რომელსაც წარმატებით გამოიყენებენ გულის დაავადებათა დროს, ფილიქსანს — ჭიების (გლისტების) საწინააღმდეგო საშუალებას, სუკრადბელს — ტკივილის გამაყუჩებელ საშუალებას და სუკოდიფერს, რომელიც გამოიყენება გულის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ.

როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა საწარმოს კოლექტივები, ისე თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს აღწევს, თავდადებით იბრძვის მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

ამ შეჯიბრებაში მაღალნაყოფიერი მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევენ სატაბლეტე-დამფასოებელი საამქრო (უფროსი ნ. ტურაბელიძე), ტანინის საამქრო (უფროსი ი. კაზალიკაშვილი), საამპულე საამქრო (უფროსი მ. იაშვილი) და საგალენო უბანი (უფროსი ს. შუბლაძე).

დ. ჯაფარიძე,
თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის დირექტორი.

ზრდიან საწარმოო მაჩვენებლებს

ფოთი. (საკ. კორ.). ნავსადგურის კოლექტივი წარმატებით იბრძვის რუსთავის მეტალურგთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი საწარმოო რაიონი, რომელმაც ტვირთბრუნვის იანვრის გეგმა 107,6 პროცენტით გაანაღდა. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს თებერვლის პირველი ნახევრის გეგმაც.

მტვირთავთა ბრიგადები, რომლებსაც ს. პსიოლი, ი. ბაბაიანი, ფ. გრადინარი, ი. კაჭარავა ხელმძღვანელობენ, ყოველდღიურ გეგმებს 160-170 პროცენტით ასრულებენ. მათ არ ჩამორჩებიან მეამწეები.

პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ აქტივთან ერთად. თათბირი მოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

მოხსენება პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ა. კვაჭაძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ვიშნიაკოვმა, საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. მ. თოფურიძემ, თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. ასათაშვილმა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, მილიციის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა ამხ. ო. მუსერიძემ, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრმა ამხ. დ. ბაჯელიძემ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. კაველაძემ, აფხაზეთის ასსრ პროკურორმა ამხ. მ. შამბამ, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ძაგოევმა, ქალაქ ქუთაისის პროკურორმა ამხ. ა. ეღენტმა, მახარაძის რაიონის სახალხო მოსამართლემ ამხ. ნ. გობრონიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ი. დოლიძემ, პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ღვინჯილიამ, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. ჩხარტიშვილმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ბურჭულაძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ამხ. მ. ლომიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ ამხ. დ. ე. სალინმა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე. (საქდესი).

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სოფლკორი ხაშურის რაიონიდან გვატყობინებდა, რომ სოფელ ლუდაში იშვიათად უჩვენებენ კინოსურათებს, არ იმართება კონცერტები, სოფელი რადიოფიცირებული არ არის.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომს. რაისაბჭოს აღმასკომმა დაავალა კულტურის განყოფილებას გააძლიეროს სოფელ ლუდის მოსახლეობის კულტურული მომსახურება. ლუდის კოლმეურნეობის გამგეობას დაეკისრა უახლოეს პერიოდში გაიყვანოს რადიოსატრანსლაციო ხაზი და უზრუნველყოს სოფლის რადიოფიცირება.

პარტიული ცხოვრება

ვახორციელებთ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს

დიდი აქტივობის ვითარებაში, გამჭოლი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა სამტრედიის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში. ამ კრებებზე ასახვა ჰპოვა პარტიული ორგანიზაციების მრავალმხრივმა საქმიანობამ.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. რაიონის სამრეწველო საწარმოებმა 1956 წლის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სამტრედიელმა კოლმეურნეებმა სიმინდის წარმოების გადიდების საქმეში. მაგალითად, 1956 წელს წინა წელთან შედარებით სიმინდის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 2,8 ცენტნერით იქნა გადიდებული.

მაგრამ წარმატებანი მეტი იქნებოდა, რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს უფრო უნარიანად რომ გაეჩაღებინათ ბრძოლა ორგანიზატორული საქმიანობის უკეთ მოწყობის, კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების, პარტიული პროპაგანდის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისათვის.

აი ის მთავარი საკითხები, რომელთა შესახებ დაწვრილებით ლაპარაკობდნენ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე სიტყვებით გამოსული კომუნისტები. ტოლების 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა მ. ცინცაძემ, ვ. გეფერიძემ, ნ. რუხაძემ, ა. ბოგუაძემ და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიურო პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის. როგორც მათ აღნიშნეს, დაბალია კომუნისტების ავანგარდული როლი საკოლმეურნეო წარმოებაში.

კომუნისტთა კრიტიკა გათვალისწინებულ იქნა საანგარიშო-საარჩევნო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში. პარტბიურომ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის.

გასულ წელს დაბლა გომის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები იყო. შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებიათ კომუნისტებს ა. ჩაჩუას, ა. ნიკოლეიშვილს და ნ. გაბედავას, ხოლო კომუნისტი მერგოლური ტ. ჩაჩუა არაკეთილსინდისიერად მოიქცა და კოლმეურნეთა შრომადღეები მიითვისა. მესამე ბრიგადაში 13 კომუნისტი იყო, რომელთაგან ფიზიკურად მხოლოდ 6 მუშაობდა. კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა წველადობის წლიური გეგმა. არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ამ ნაკლოვანებებისათვის კომუნისტებმა სამართლიანად გააკრიტიკეს პარტბიურო საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. ამასთან მათ წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ მიღებულ ღონისძიებებში გაითვალისწინა კომუნისტების საქმიანი შენიშვნები და წინადადებანი, ხოლო ახლად არჩეულმა პარტბიურომ გააჩაღა ბრძოლა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. პარტბიურომ პირველ სხდომაზევე მოისმინა საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხი. შეცვალა სუსტი აგიტატორები უფრო მომზადებული ამხანაგებით, ხოლო შემდეგ მოიწვია აგიტატორთა სემინარი. ყოველივე ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. ახლა აგიტატორები სისტემატურად მართავენ საუბრებს თავიანთ საგიტაციო უბნებში, ყოველ საუბარს მჭიდროდ უკავშირებენ კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს.

როგორც საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე ითქვა, აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა 1956 წლის დავალება, ამასთან მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა ნედლეული, ელექტროენერგია და სათბობი. ფაბრიკის პარტბიურომ ცუდად როდი იმუშავა საანგარიშო პერიოდში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის უკეთ მოწყობისათვის. მაგრამ ამასთან ერთად მის საქმიანობაში ნაკლოვანებანიც იყო. პარტბიურო სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობდა სოციალისტურ შეჯიბრებას, მოისუსტებდა ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა, სისტემატურად არ ხდებოდა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. ძაფსალებ საამქროში ხშირი იყო ნედლეულის ცვალებადობა, საზეინკლო საამქრო კი მომარაგებული არ იყო საჭირო ხელსაწყო-იარაღებით. ყოველივე ეს აფერხებდა საამქროების ნორმალურ მუშაობას, ხოლო პარტბიურო სუსტად იბრძოდა ამ შეფერხებათა აღსაკვეთად. სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა ნ. ვაშაკიძემ, ნ. ჯანაშიამ, შ. რევიშვილმა, ვ. შენგელიამ, ე. ჯავახაძემ, მ. აკოპოვამ, ვ. კოპალეიშვილმა და სხვებმა. კრებამ დაავალა პარტბიუროს ფართოდ გაეჩაღებინა სოციალისტური შეჯიბრება, გაეძლიერებინა ხელმძღვანელობა და დახმარება პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობისადმი. ჯერ კიდევ დეკემბერში პარტბიუროს მორიგ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ფაბრიკაში სოციალისტური შეჯიბრების მდგომარეობის შესახებ და დაისახა სათანადო ღონისძიებანი. პარტბიურო დაეხმარა საფაბრიკო კომიტეტს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმების საქმის გაუმჯობესებაში, მიიღო ზომები წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლის შემდგომი ამაღლებისათვის, უზრუნველყო ძაფსალები და საზეინკლო საამქროების გამართული მუშაობა.

საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ პარტბიუროს ინიციატივით ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის რამდენჯერმე მოეწყო ლექცია ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე, კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე. ახლა პარტბიურო უფრო მეტ ყურადღებას აქცევს კადრების ეკონომიურ განათლებას. ნაყოფიერად მუშაობს პარტორგანიზაციასთან არსებული კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრე, რომელსაც ფაბრიკის მთავარი ინჟინერი კომუნისტი ნ. ვაშაკიძე ხელმძღვანელობს. მეცადინეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოს ცხოვრებასთან, მის პრაქტიკულ საქმიანობასთან. წრის მსმენელები ე. ტორონჯაძე, ე. სტურუა, ნ. შენგელია და სხვები ყოველდღიურ დავალებებს 105-110 პროცენტით ასრულებენ. მთლიანად ფაბრიკამ კი გადაჭარბებით შეასრულა იანვრის დავალება.

ტრესტ „საქართველოს ჩაის" სამტრედიის მექანიკური ქარხანა წარმატებით ასრულებს პროდუქციის გამოშვების დავალებას, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდაში. როგორც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ითქვა, ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ქარხანაში ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნიკურ პროგრესს, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. კრებაზე აღინიშნა აგრეთვე კედლის გაზეთის ცუდი მუშაობა. პარტბიურომ გაითვალისწინა კომუნისტების კრიტიკა და უკვე მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა წარმოებაში ყოველივე ახლისა და პროგრესულის, შრომის ნოვატორული მეთოდების დანერგვისათვის, ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისათვის. გაუმჯობესდა პარტბიუროს ხელმძღვანელობა და დახმარება კედლის გაზეთისადმი. გაზეთში მოთავსებული არც ერთი შენიშვნა უყურადღებოდ არ რჩება. ამან ხელი შეუწყო კორესპონდენტთა რიგების ზრდას. ახლა ქარხნის კედლის გაზეთის ირგვლივ 40-ზე მეტი მუშკორია შემოკრებილი.

ბევრი საქმიანი წინადადება და შენიშვნა იქნა წამოყენებული რაიონის სხვა პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც. მათი განხორციელებისათვის ამჟამად ნაყოფიერი მუშაობაა გაჩაღებული.

პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ. კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა დელეგატებმა გააკრიტიკეს პარტიის რაიონული კომიტეტის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი და წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი. მაგალითად, კონფერენციის დელეგატმა— საკონსერვო კომბინატის დირექტორმა დ. ნიკურაძემ დააყენა საკითხი საწარმოს რეკონსტრუქციის შესახებ; დელეგატმა ს. ტურძელაძემ აღნიშნა, რომ რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა გზების კეთილმოწყობას. მანვე მოითხოვა წყალდიდობისაგან კოლმეურნეობების ნათესების დაცვის მიზნით დაიწყოს მდინარე რიონის ნაპირების გამაგრება. კონფერენციის შემდეგ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ეს საკითხები დააყენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე. გადაწყვეტილია და წელს დაიწყება მდინარე რიონის ნაპირების გამაგრება სამტრედიის რაიონში. უკვე დაწყებულია და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დამთავრდება იანეთ-დიდი ჯიხაიშის გზის კეთილმოწყობა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა დელეგატმა გ. ხეთერელმა თქვა, რომ მილიციის რაიონული განყოფილება და ავტოინსპექცია სუსტ მეთვალყურეობას უწევენ მსუბუქი ავტომანქანების მფლობელებს, რომლებიც ამ მანქანებს კერძო შემოსავლის წყაროდ ხდიან. ამჟამად პარტიის რაიონული კომიტეტი იღებს ზომებს ამ საქმეში მტკიცე წესრიგის დასამყარებლად.

აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის ცვლის ინჟინერმა ნ. კუნიცამ რაიონული პარტიული კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ძაფსალები ფაბრიკა, მისი დაზგა-დანადგარები საფუძვლიან რეკონსტრუქციას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს წინაშე არაერთხელ იქნა დაყენებული საკითხი ფაბრიკის რეკონსტრუქციის შესახებ, ეს საქმე დღემდე უყურადღებოდ არის მიტოვებული და წელსაც არ არის გამოყოფილი სახსრები. საჭიროა, — განაცხადა მან, — რომ სამინისტრო, კერძოდ მინისტრი ამხ. ართმელაძე, უფრო მეტ ყურადღებას აქცევდეს ჩვენს ფაბრიკას. კონფერენციაზე საქმიანი წინადადებებით გამოვიდნენ აგრეთვე დელეგატები—ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსი დ. ბერიძე, საქვაჭრობის სამტრედიის განყოფილების მმართველი გ. მეფარიშვილი და სხვები. პარტიის რაიონული კომიტეტი ყველა ზომას იღებს დელეგატების მიერ წამოყენებულ წინადადებათა დროულად შესრულებისათვის.

მაგრამ რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებული დადგენილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ზოგან ამ მიმართულებით აქამდე არ გაუშლიათ სათანადო ორგანიზაციული მუშაობა.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან დაუცხრომლად ამაღლებდნენ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონეს და ამ საფუძველზე უზრუნველყოფდნენ პარტიის XX ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. ბრძოლა პარტიული გადაწყვეტილებების უთუოდ შესრულებისათვის მუდამ უნდა იდგეს ყველა კომუნისტის, პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

ნ. ფანცულაია,
საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი.

მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

საუბრები ამომრჩევლებთან

ლამაზად მოურთავთ კლუბი, რომელშიც თბილისის სტალინის რაიონის № 22 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტია მოთავსებული.

აგიტპუნქტში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ამომრჩეველთა სია, კედლის გაზეთების „ამომრჩეველთა ხმისა" და „აგიტატორის ხმის" შინაარსიანი ნომრები, № 22 საარჩევნო უბანში შემავალი საცხოვრებელი სახლების განლაგების სქემა.

საღამოობით სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს აგიტპუნქტში. ამომრჩევლებისათვის ეწყობა საუბრები, კონსულტაციები. მშრომელები ეცნობიან საარჩევნო ლიტერატურას, უყურებენ ტელეგადაცემებს.

ექსკურსიები ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად, კოლექტიურად წასვლა კინოთეატრებში, მუზეუმებში, შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან — აი რა არის გათვალისწინებული აგიტპუნქტის სამუშაო გეგმაში.

საინტერესო, ცოცხალ საუბრებს აწყობენ საცხოვრებელ ბინებში აგიტატორები მ. ფანჩულიძე, ხ. ქავთარაძე, ნ. ჩარკვიანი, ა. მამფორია, ე. ლორთქიფანიძე და სხვ.

აგიტატორ მ. ფანჩულიძის ხელმძღვანელობით ამომრჩეველთა ერთმა ჯგუფმა დაათვალიერა რუსთავის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა და თბილისის ისტორიული ადგილები.

28 თებერვალს ეწყობა უბნის ამომრჩეველთა შეხვედრა საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებთან. აგიტპუნქტი ამ ღონისძიების განხორციელებაში ქმედითს მონაწილეობას იღებს.

• • •

სურათზე: აგიტატორი ნ. ჩარკვიანი (მარჯვნიდან მეორე) პლეხანოვის პროსპ. № 111 სახლის მცხოვრებლებს ესაუბრება საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ.

ფოტო შ. გოქაძისა.

ახალ საარჩევნო უბანში

კერამიკული აგურისაგან ნაგები სკოლის ფასადი მიმზიდველად გაუფორმებიათ საარჩევნო ლოზუნგებითა და პლაკატებით. აქ მოთავსებულია ახალი საარჩევნო უბანი — რუსთავის № 26 საარჩევნო უბანი.

განა მარტო საარჩევნო უბანია აქ ახალი? ამ მიდამოებში ყველაფერი ახალია. თვით ეს სასკოლო შენობა საექსპლოატაციოდ ახალი სასწავლო წლის დაწყებისას გადაეცა. აი, ამ მოასფალტებულ ქუჩებს, მტკვრის მარჯვენა ნაწილის სამ საცხოვრებელ კვარტალს რომ გადასერავენ, მხოლოდ ახლახან შეარქვეს თბილისის, იალღუჯის, ვახუშტის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის სახელები. 2-3-სართულიან შენობათა კვარტალების შიგნით ახლად გაშენებულია მარადმწვანე მცენარეები, ლამაზი სკვერები და გაზონები, აგებულია ასზე მეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ფართო საკარმიდამო ნაკვეთებით, სამ საცხოვრებელ შენობას ახლახან ჩამოხსნეს ხარაჩოები. ბევრი ნაგებობა კი ხარაჩოებშია.

ჩქარი ტემპით იზრდება ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქი. ადგილობრივი საბჭოების გასული არჩევნებიდან დღემდე სულ რაღაც ორმა წელმა განვლო. ამ მოკლე ხანში რუსთავმა იმდენად იცვალა სახე, რომ საჭირო გახდა დამატებით 4 საარჩევნო უბნისა და 32 საარჩევნო ოლქის მოწყობა.

№ 26 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში საინტერესო ლექციის, საუბრის თუ კონცერტების მოსასმენად, სატელევიზიო გადაცემათა საყურებლად ყოველ საღამოს მრავალი ამომრჩეველი იყრის თავს.

ამ დღეებში აგიტატორმა ვ. წურწუმიამ ამომრჩევლებთან საინტერესო საუბარი გამართა თემაზე — „ეს არ იყო 2 წლის წინათ".

— იმ ადგილას, სადაც ჩვენი ახალი საარჩევნო უბანია, — თქვა აგიტატორმა, — ორი წლის წინათ მზისაგან გადახრუკული მოშიშვლებული ველი იყო, საცხოვრებელი კვარტალების კონტურები ახლად იხაზებოდა. ახლა კი თვალსა და გულს ახარებს ქალაქის ეს ნაწილი. საარჩევნო უბნის ტერიტორიაზეა რუსთავის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამშენებლო ორგანიზაცია — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველო, რომლის კოლექტივმა გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირში და საპატიო ჯილდო — მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. ამ სამმართველოს ბინათმშენებლები ქალაქში ერთ-ერთი პირველნი შეუდგნენ რკინაბეტონის მსხვილი საკედლე ბლოკებით შენობათა დამონტაჟებას. ამ მეთოდით ჩვენს საარჩევნო უბანში შენდება 9 სამ-ოთხსართულიანი სახლი, ერთ-ერთის მონტაჟი უკვე დასრულდა.

— ფართოდ არის ცნობილი, — განაგრძობდა აგიტატორი, — ბინათმშენებლობის სამმართველოს წარჩინებული კალატოზების — ა. წიკლაურის, მ. სალიმოვის და თ. მარკოვის სახელები. უკანასკნელმა მონაწილეობა მიიღო რუსთავში პირველი კაპიტალური სახლის მშენებლობაში. ქართველი, აზერბაიჯანელი და რუსი ხალხის ეს ღირსეული შვილები კარგა ხანია რუსთავის ახალმშენებლობებზე ერთმანეთის მხარდამხარ იბრძვიან, თავდადებულად და მაღალნაყოფიერად შრომობენ. სწორედ ამ მეგობრობამ გახადა შესაძლებელი რუსთავის უკაცრიელ ტრამალზე უმოკლეს ვადაში მძლავრი ინდუსტრიული ქალაქის აშენება. მარტო უკანასკნელი 2 წლის მანძილზე რუსთავის მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგნენ მეტალურგიული ქარხნის მავთულსაგლინავი და ფურცელსაგლინავი დგანები, მე-2 საკოქსე ბატარია, თბოელექტროცენტრალის მე-5 ქვაბი, ტურბინგენერატორი, ბლუმინგის სამქროს გამახურებელი ჭების მე-6 ჯგუფი, დამთავრდა აზოტოვანი სასუქებისა და ცემენტის მძლავრი ქარხნები, რომლებიც აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, ბეტონის ცენტრალური კომბინატის ბაზაზე შეიქმნა რკინაბეტონის ნაკეთობათა დიდი კომბინატი.

ორი წლის განმავლობაში მეტალურგთა ქალაქს დაემატა 68 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, საექსპლოატაციოდ გადაეცა კულტურის მონუმენტური სასახლე, ორი საბავშვო ბაღი, ორი საბავშვო ბაგა, სამშობიარო სახლი, სკოლის ახალი შენობა, დიდი საცურაო აუზი მშენებლებისათვის და მრავალი სხვა ობიექტი. ამავე პერიოდისათვის ქალაქში დაირგო 311.000 ძირი ხე და ბუჩქი, მოასფალტდა 15 კილომეტრამდე საერთო სიგრძის ქუჩები და გზები.

აგიტატორმა ილაპარაკა მტკვრის მარჯვენა მხარეს რუსთავის ზრდისა და განვითარების პერსპექტივებზე და დაასკვნა:

— კიდევ უფრო ბედნიერი და ხალისიანი იქნება ჩვენი ახალი საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა ხვალინდელი დღე, კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი გახდება ჩვენი სიამაყე — რუსთავი.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

აფხაზეთის კომკავშირის ორგანიზაციას გადაეცა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ორასზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა მიიღო მონაწილეობა ყაზახეთის ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსავლის აღებაში. აფხაზეთის წარგზავნილებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე.

ყაზახეთიდან, სადაც აფხაზეთის მკვიდრნი შრომობდნენ, სასიხარულო ამბები მოდიოდა. არანაკლებ სასიხარულო იყო მათი დაბრუნება. ბევრი ახალგაზრდა იყო დაჯილდოებული ნიშნებით „ახალი მიწების ათვისებისათვის", კომკავშირის კუსტანაის საოლქო კომიტეტის, ზატობოლსკის რაიკომისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით.

ამ დღეებში აფხაზეთში მოვიდა კიდევ ერთი ახალი სასიხარულო ცნობა: საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა აფხაზეთის კომკავშირის ორგანიზაცია დააჯილდოვა საპატიო სიგელით ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსავლის აღებაში აქტიური მონაწილეობისათვის. საპატიო სიგელი გადაეცათ კომკავშირის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ამასთან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები გადაეცათ პურის მოსავლის აღებაში ახალგაზრდობის მუშაობის საუკეთესო ორგანიზატორებს, მათ შორის კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ვ. კობახიას და ინსტრუქტორს ო. ბაღათურიას, აგრეთვე კომკავშირის გაგრის, გულრიფშის და ოჩამჩირის რაიკომების მდივნებს ტ. ბეჟვაის, გ. დავითაიას და ა. გვარამიას.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა პატრიოტული თაოსნობა

შარშან საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა გარკვეული წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის ამოცანათა პრაქტიკულად შესრულების საქმეში. ინსტიტუტის 120 სტუდენტი თვენახევრის განმავლობაში აქტიურ დახმარებას უწევდა ყაზახეთის სსრ კუსტანაის ოლქის მშრომელებს ყამირ მიწებზე მიღებული პურეულის უხვი მოსავლის აღებაში. სექტემბერში 1.200-ზე მეტი სტუდენტი მუშაობდა რესპუბლიკის ჩაის საბჭოთა მეურნეობებსა და მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში. სტუდენტებმა ენერგიულად იმუშავეს ლაჯანურჰესის მშენებლობაზე. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი წლების მანძილზე საწარმოო დახმარებას უწევს მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობას, მცხეთისა და ლაგოდეხის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს.

პრაქტიკა დიდად ეხმარება სტუდენტებს თეორიული ცოდნის განმტკიცებაში, უღვივებს მათ შრომის სიყვარულსა და პატივისცემას.

ამას წინათ ინსტიტუტში მოწყობილმა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებმა, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების წარმომადგენლები, ცხადყვეს, რომ მომავალი სპეციალისტები კვლავ მზად არიან ქმედითი დახმარება გაუწიონ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას მის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

ამის ახალი დადასტურებაა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში ამ დღეებში გამართული პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეკრება, რომელსაც 500-ზე მეტი კაცი დაესწრო.

სიტყვა ინფორმაციისათვის ეძლევა ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ი. სარიშვილს. ლაპარაკობს რა სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ სერიოზულ ამოცანებზე, იგი მოუწოდებს ინსტიტუტის კოლექტივს, ისევე როგორც წინა წლებში, წელსაც თავისი წვლილი შეიტანოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის საქმეში.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან დოცენტი დ. ციციშვილი, პროფესორი ნ. ხომიზურაშვილი, სტუდენტი ნ. ტაბიძე, პროფესორი ა. მენაღარიშვილი, დოცენტი ბ. იაკობაშვილი, სტუდენტი გ. ლორთქიფანიძე, პროფესორი ი. ბათიაშვილი, სტუდენტი გ. ხაინდრავა და სხვები.

— არაფერია იმაზე უფრო საპატიო საქმე, რომ შენი ცოდნა მთლიანად მოახმარო სამშობლოს, ხალხის ინტერესებს, — აი რა გამოსჭვიოდა თვითეული მათგანის სიტყვაში.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეკრებამ მიიღო მიმართვა ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებისადმი გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად კოლმეურნეობებისა და მტს-ებისათვის მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით შესრულებაში დახმარების გასაწევად, მხატვრული თვითმოქმედებისა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაშლელად.

ამ მიზნით ისინი კისრულობენ შემდეგ კონკრეტულ ვალდებულებებს: მარტსა და აპრილში მოაწყობენ სტუდენტთა მასობრივ გასვლას საკოლმეურნეო მინდვრებზე, სადაც ისინი კოლმეურნეებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საგაზაფხულო თესვაში, თესლის დაყალიბებაში, ადგილობრივი და მინერალური სასუქების შეტანაში.

ინსტიტუტის სტუდენტები სწავლისაგან თავისუფალ დროს და ზაფხულის არდადეგების პერიოდში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ საკოლმეურნეო სამუშაოებში და გამოიმუშავებენ სულ ცოტა 20 ათას შრომადღეს. შექმნიან სტუდენტთა 20 საწარმოო ბრიგადას, რომლებსაც გაგზავნიან რესპუბლიკის ჩაისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

რესპუბლიკის 25 მტს-ში მოაწყობენ სათესლე სიმინდის გაწმენდასა და დაყალიბებას, დახმარებას გაუწევენ ლაგოდეხისა და მცხეთის მტს-ებს პურის გაყოფით (ორ ფაზად) აღებაში, მანქანების შეკეთების წლიური განუწყვეტელი რემონტის დანერგვაში. სტუდენტთა მონაწილეობით შეკეთებული იქნება 30 ტრაქტორი და მისაბმელი მანქანა. ახალგაზრდები ფართო მონაწილეობას მიიღებენ მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების საქმეში.

მოამზადებენ მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის შრომებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აქტუალურ საკითხებზე. გამოსცემენ ინსტიტუტის შრომების ტომს, მიძღვნილს სიმინდის კულტურისა და მისი აგროტექნიკისადმი.

ყოველივე ამასთან ერთად ინსტიტუტის კოლექტივი შეფობას გაუწევს მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობისა და სოფელ მისაქციელის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი მეურნეობის სწორ ორგანიზაციასა და მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში, კადრების სწავლებასა და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლაში.

— ვკისრულობთ რა ამ ვალდებულებათა შესრულებას, ნათქვამია მიმართვის დასასრულს, — **ჩვენ მოვუწოდებთ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს განიხილონ იგი თავიანთ საერთო კრებებზე, დასახონ საშეფო კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის დახმარების კონკრეტული ღონისძიებანი.**

შევიტანოთ ჩვენი წვლილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საქმეში!

იმედია, რომ საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივის ამ პატრიოტულ თაოსნობას საქმიანად გამოეხმაურებიან ჩვენი რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

სწავლასა და შრომაში ახალი წარმატებებისათვის, ამხანაგო სტუდენტებო!

ჩაის ფაბრიკა ამ დღეებში

უკანასკნელ დღეებში აფხაზეთში თბილი ამინდებია. ბუნება იღვიძებს. მინდვრად გასულან ადამიანები. ისინი ბეჯითად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე და საფუძველს უყრიან წლევანდელ უხვ მოსავალს. განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ჩაის პლანტაციებში, სადაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს გაზაფხულის სამუშაოები. კოლმეურნეები ჩქარობენ ბუჩქის ვეგეტაციის დასწრონ მწკრივთა შორის გამობარვა, კულტივაცია, სასუქის შეტანა.

ემზადებიან ჩაის ფაბრიკებიც, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ პირველმოკრეფილი მწვანე ფოთლის მიღება-გადამუშავებას.

წელს ქოჩარის ჩაის ფაბრიკამ, რომელიც ხუთი დიდი კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციების ბაზაზე მუშაობს, 2.500 ათასი კილოგრამი ფოთოლი უნდა გადაამუშაოს. ეს ამოცანა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ფაბრიკის კოლექტივს. ამიტომ იყო, რომ ფაბრიკის ხელმძღვანელობა (დირექტორი ლ. გოგუა, მთავარი ტექნოლოგი მ. ქვანია), გასული წლის 15 დეკემბრიდან შეუდგა ფაბრიკის მანქანა-დანადგარების, ელექტროძრავების და მოწყობილობის რემონტს.

გასულ წელს ოჩამჩირის რაიონის ქოჩარის ჩაის ფაბრიკამ სახელმწიფოს მისცა 5,5 მილიონი მანეთი მოგება.

წელს ფაბრიკას ნაკისრი აქვს თებერვლის ბოლომდე ძირითადად დაამთავროს ტექნოლოგიური მოწყობილობის, ელექტროდანადგარებისა და ყველა სახის ინვენტარის რემონტი. უკვე შეკეთებულია 78 ელექტრომოტორი, ერთი გენერატორი, ექვსი ღია საგრეხი მანქანა, 12 წნეხიანი როლერი, მწვანე დამხარისხებელი, დამანესტიანებელი (გროტემბერი), კაპიტალურად შეკეთდა 4 ავტომანქანა. მთავრდება მაროლეიშვილის სისტემის ჩაის საღნობი (საჭკნობი) აგრეგატის კაპიტალური რემონტი. გარდა ამისა, დამზადებულია 900 ცალი საფერმენტაციო ყუთი, 270 სატრანსპორტო (მწვანე ფოთლის გადასაზიდი) ყუთი, შეკეთებულია ერთი ელექტროძრავი (დიზელი), მუშაობენ ფაბრიკის ელექტროსადგურის შესაერთებლად მაღალი ძაბვის ხაზთან მუდმივი დენით უზრუნველსაყოფად.

რემონტზე მუშაობს ოთხი ბრიგადა, მათ შორის ორი საზეინკლო, ერთი ელექტროდანადგარებისა და ერთი სადურგლო. აქ მომუშავეთა შორის საწარმოო მაჩვენებლებით გამოირჩევიან: მექანიკოსი გრიგოლ მირონენკო, ზეინკლები პეტრე სლუცკინი, ილია ბუსკინი, ელექტრომონტიორები გიორგი მახნია, გაბრიელ კოვალენკო, ვიქტორ ცეცხლაძე, დურგლები ძმები ვარლამ და ვალერიან ბესელიები, გრიგოლ ივანოვი.

სწრაფად მიმდინარეობს დამამზადებელი პუნქტების შეკეთება, რაც მარტში დამთავრდება. ინვენტარის რემონტს მნიშვნელოვნად აბრკოლებს ის, რომ დღემდე არა აქვთ საჭირო მასალა. ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ტრესტ „საქჩაის" მუშაკებმა.

დ. გეგენავა.

აგრონომის საუბარი

მზესუმზირას მოყვანის აგროტექნიკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში ნათქვამია, რომ ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროტექნიკა. მათ შორის აუცილებელია გაუმჯობესდეს მზესუმზირას მოყვანის აგროტექნიკა. მზესუმზირას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. იგი გამოირჩევა გვალვისადმი გამძლეობით.

მზესუმზირა იძლევა მაღალხარისხოვან ზეთს, რომელიც იხმარება არა მარტო საჭმელად, არამედ მარგარინისა და საპნის მრეწველობაში, საკონსერვო, საშაქარლამო, ოლიფისა და საღებავების წარმოების საქმეში. იგი სარგებლო კულტურაა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნის თვალსაზრისითაც. მზესუმზირას მწვანე მასა დიდი რაოდენობით იძლევა კარგი ხარისხის ადვილად მოსანელებელ სასილოსე მასალას. გარდა ამისა, ზეთის გამოხდის შემდეგ მიღებული კოპტონი წარმოადგენს კონცენტრირებულ საკვებს, განსაკუთრებით მერძეული და პროდუქტიული პირუტყვისათვის.

მზესუმზირა აგროტექნიკური თვალსაზრისითაც საყურადღებო კულტურაა. ის ნიადაგს ადრე ათავისუფლებს, მოსავლის აღების შემდეგ ნაკვეთი გაწმენდილია ბალახისაგან და გაფხვიერებულია. მზესუმზირა ხორბლის კარგი წინამორბედია და, გარდა ამისა, ფუტკრის კარგ საკვებს წარმოადგენს.

მიუხედავად მზესუმზირას ასეთი მრავალმხრივი სარგებლიანობისა, მისი მოყვანის აგროტექნიკა ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას. ამის გამო მოსავლიანობაც ჯერ კიდევ მცირეა.

ბევრმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა დღემდე ვერ აითვისა მზესუმზირას თესვის ყველაზე პროგრესული წესი — კვადრატულ-ბუდობრივი თესვა. გასულ წელს მზესუმზირას კვადრატულ-ბუდობრივად თესვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა მხოლოდ ულიანოვკის, ველისციხის, ასურეთის, ალაზნის და იორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში. ამ პროგრესული წესით არც ერთი ჰექტარი არ დაუთესიათ წითელწყაროს, ენისლის და თეთრი წყაროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, ხოლო დანარჩენმა მტს-ებმა ძლიერ უმნიშვნელო ფართობზე ჩაატარეს ამ წესით მზესუმზირას თესვა.

მოწინავე მეცნიერების მონაცემებით და დაკვირვებებით, გვალვიანი ზაფხულის პირობებში ურწყავ რაიონებში ამ კულტურის მოსავლიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თესვის ვადას. მზესუმზირას თესვის საუკეთესო ვადად უნდა ჩაითვალოს თებერვლის მეორე ნახევარი მარტის დამლევამდე. მტკიცე კალენდარული ვადის ჩვენება ძნელია, ვინაიდან ეს თვეები მეტად ცვალებადი ამინდით ხასიათდება, მაგრამ ამ ვადებში გარკვეული დროის მონაკვეთი ყოველთვის შეიძლება გამოვიყენოთ მზესუმზირას დასათესად, რაც უხვი მოსავლის მიღების საწინდარია. ამ ვადაში ნათესი მზესუმზირა კარგად იყენებს ნიადაგში მომარაგებულ წყალს, საკვებ ნივთიერებას და, რაც მთავარია, ზაფხულის მშრალ, გვალვიან პერიოდს (ივლისსა და აგვისტოს) ასწრებს ყვავილებისა და თესლის ჩასახვა-დასრულებას. ადრე აღმონაცენს არავითარი საშიშროება არ მოელის ტემპერატურის მხრივაც; გაზაფხულის ყინვებს 3-5 გრადუსამდე იტანს.

გადაჭრით უნდა დავგმოთ მზესუმზირას დაგვიანებით თესვის პრაქტიკა, გამოხშირვის, პირველი თოხნისა და კულტივაციის დაგვიანება. სწორედ ამ ღონისძიების დროულად განუხორციელებლობა იწვევს მოსავლიანობის საგრძნობლად შემცირებას.

წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. გონაშვილი) გასულ წელს მზესუმზირას 418 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 17,6 ცენტნერი მოსავალი. ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა ა. ოთარაშვილმა 60 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე 20,39 ცენტნერი მზესუმზირა მიიღო.

სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის" იმ ბრიგადამ, რომელსაც მ. ჯანგულაშვილი ხელმძღვანელობს, მისთვის მოსავლელად მიჩენილი 50 ჰექტარი მზესუმზირას ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 19,48 ცენტნერი მოსავალი, ამავე კოლმეურნეობის ნ. ქართველიშვილის ბრიგადამ 50 ჰექტარიდან საშუალოდ ერთ ჰექტარზე — 20,66 ცენტნერი. მზესუმზირას მთესველ ყველა კოლმეურნეობას შესაძლებლობა აქვს მოიყვანოს ასეთი უხვი მოსავალი. ამისათვის მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ მზესუმზირას რამდენიმე წელს ერთსა და იმავე ადგილზე თესვა იწვევს სოკოვან დაავადებებს და მავნებლების გავრცელებას; ამიტომ იგი უნდა დაითესოს მორიგეობით სხვა კულტურებთან, რომ განმეორებით იმავე ადგილზე თესვა მხოლოდ 5-6 წლის შემდეგ მოხდეს.

მზესუმზირა კარგად ითვისებს სასუქებს. ორგანული და მინერალური სასუქების შეტანით ორჯერ დიდდება მისი მოსავალი, ფოსფოროვანი სასუქები კი, გარდა მოსავლის გადიდებისა, მის მომწიფებასაც აჩქარებს.

ადრე შემოდგომით მზრალად მოხნულ ნიადაგზე მეტი შესაძლებლობაა მზესუმზირა დაითესოს კვადრატულ-ბუდობრივად. ეს ღონისძიება სამჯერ ზრდის შრომის ნაყოფიერებას და აჩქარებს სამუშაო პროცესების შესრულებას.

საჭიროა სერიოზული ყურადღება დავუთმოთ სათესლე მასალის შერჩევას. ჩვენ გვაქვს მზესუმზირას მაღალზეთოვანი უხვმოსავლიანი ჯიშები — „ვნიიმკ 1646", რომლის თესლი 40-42 პროცენტ ზეთს შეიცავს და ავადმყოფობის გამძლეა. ამჟამად უკეთესი ჯიშებიც არის დარაიონებული. ასეთებია: „არმავირის 3497", „ვნიიმკ 6540", „გიგანტი 549". ისინი ფართოდ უნდა დავნერგოთ.

აუცილებელია განვახორციელოთ არა მარტო ერთი რომელიმე აგროტექნიკური ღონისძიება, არამედ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი და 1957 წლიდან მივაღწიოთ მზესუმზირას უხვი მოსავლის მიღებას.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით მზესუმზირას დამზადების ფასები სამჯერ და უფრო მეტად არის გადიდებული. აგრეთვე დაწესებულია მზესუმზირას ჯიშიანი თესლის დასამზადებელი, შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების ფულადი დანამატი ჯიშიანობაზე. ეს ფართოდ უნდა გავაცნოთ კოლმეურნეებს და წავახალისოთ ისინი მზესუმზირას წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის.

აგრონომი თ. ჩოჩია.

ორი აგიტპუნქტი

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ბაილეთის საარჩევნო უბანი, მისი აგიტპუნქტი (გამგე ე. მეხუზლა) ნამდვილად წარმოადგენენ ამომრჩეველთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრს. აგიტპუნქტში ხშირად იმართება საუბრები, ლექციები, უჩვენებენ კინოფილმებს, ეწყობა ახალგაზრდა ამომრჩეველთა შეკრებანი, სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი. ამიტომ არის, რომ აგიტპუნქტში ყოველთვის ნახავთ ამომრჩევლებს. აგიტატორებს ნ. ძიძიგურს, ლ. დარჩიას, შ. ვასაძეს, გ. დარჩიას და სხვებს ყოველდღიური კავშირი აქვთ ამომრჩევლებთან, ესაუბრებიან მათ საბჭოთა კონსტიტუციის დიად პრინციპებზე, აგიტაციას ეწევიან კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატების სასარგებლოდ, ამომრჩევლებს აცნობენ დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიებს.

სამწუხაროდ, ასე როდი ითქმის ნასაკირალის საარჩევნო უბანთან მოწყობილი აგიტპუნქტის შესახებ. ეს აგიტპუნქტი ფორმალურად არსებობს, ამომრჩეველთა შორის არავითარ მუშაობას არ ეწევა. ხშირად იგი გამოკეტილია. აგიტპუნქტს არა აქვს საჭირო ლიტერატურა, აქ ვერც გაზეთებს ნახავთ. აგიტპუნქტის გამგემ ვ. თალაკვაძემ თავის გამართლების მიზნით უპასუხისმგებლოდ განაცხადა: ყველაფერი გვქონდა, საარჩევნო ლიტერატურაც და სხვა მასალებიც, მაგრამ ვიღაცას წაუღიაო.

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ნ. სიხარულიძე) ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამომრჩეველთა შორის საგიტაციო მუშაობის საკითხს.

აგიტატორთა ზონალური თათბირები

წალენჯიხა. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით რაიონში შექმნილია 19 აგიტპუნქტი, რომლებშიც გაერთიანებულია 500-ზე მეტი აგიტატორი. პოლიტიკური განათლების კაბინეტში და სასოფლო ბიბლიოთეკებში მოეწყო მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის გამოფენები.

ჩატარდა აგიტატორების ზონალური თათბირები წალენჯიხასა და ლიაში. თათბირებზე მოსმენილ იქნა მოხსენებები თემაზე: „ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და აგიტატორთა ამოცანები". აგიტატორები ვ. ბელქანია, ნ. ძიძავა (ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა), პ. ჭანია, შ. კვარაცხელია (ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა), ო. მესხია, ა. სონგულია (ჩაის საბჭოთა მეურნეობა) სისტემატურად და საინტერესოდ აწყობენ საუბრებს ამომრჩევლებთან.

„საბჭოთა კავშირის დაუხმარებლად ბულგარეთი ასეთ მშენებლობას ვერ გააჩაღებდა“

სოფია, 25 თებერვალი. (საქდესი). გაზეთმა „ზემედელსკო ზნამე“ სათაურით „საბჭოთა კავშირის დაუხმარებლად ჩვენი ქვეყანა ასეთ მშენებლობას ვერ გააჩაღებდა“ გამოაქვეყნა საუბარი სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარესთან რუსი ხრისტოზოვთან ბულგარეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ, რომლებიც იქმნება საბჭოთა კავშირის ეკონომიურ დახმარებასთან დაკავშირებით, რასაც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის დეკლარაცია. 200 მილიონი მანეთის ახალ გრძელვადიან კრედიტს, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ბულგარეთს აძლევს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, განაცხადა რ. ხრისტოზოვმა. ქარხნების დაპროექტება, მოწყობილობის მოწოდება, მშენებლობა საბჭოთა კავშირის დახმარებით, რასაც დეკლარაცია ითვალისწინებს ამ კრედიტის ანგარიშში, უზრუნველყოფს ჩვენი სამამულო ფერადი მეტალურგიის, ხელოვნური სასუქების წარმოების კომპლექსურ განვითარებას და ჩვენი შავი მეტალურგიის შემდგომ ზრდას.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ კრედიტი გვეძლევა ჩვენი ქვეყნისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებში ათ წელიწადში გადახდის ვადით და წლიური ორი პროცენტით.

ჩვენი ქვეყნისათვის მეტად ხელსაყრელი პირობაა აგრეთვე ის, რომ კრედიტის დაფარვა ხდება ბულგარული საქონლის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებით.

ილაპარაკა რა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის გაფართოებაზე სოფლის მეურნეობის დარგში მისი ცალკეული დარგების განვითარების უფრო მჭიდრო დაკავშირების მხრივ, რუსი ხრისტოზოვმა ხაზგასმით აღნიშნა: ჩვენს ქვეყანაში მეტად ხელსაყრელი პირობებია მევენახეობისა და მეხილეობის განვითარებისათვის. ჩვენს გლეხობას აქვს აგრეთვე მნიშვნელოვანი გამოცდილება და ტრადიციები მევენახეობაში, მეხილეობასა და მებაღეობაში. ბუნებრივია, რომ ბულგარეთს ამ პირობებში შეუძლია გაადიდოს ხილისა და ბოსტნეულის წარმოება და ექსპორტი. ამის ნაცვლად ჩვენ შეგვიძლია შემოვიტანოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დანაკლისი რაოდენობა, რომელთა წარმოება ჩვენში შეზღუდულია არახელსაყრელი კლიმატური პირობების და სახნავ-სათესი მიწის ნაკლებობის გამო.

უახლოეს წლებში შესაძლებლობა გვაქვს გავადიდოთ ვენახების ფართობი ჩვენს ქვეყანაში თითქმის ერთი მილიონი დეკარით, ხეხილის ბაღებისა — თითქმის 600 ათასი დეკარით. გარდა ამისა, შეიძლება მნიშვნელოვნად გავადიდოთ ხენდროს, ქლიავის, აგრეთვე პამიდორის, წიწაკისა და სხვა ბოსტნეულის ფართობები.

ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა

სოფია, 25 თებერვალი. (საქდესი). გუშინ ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ანტონ იუგოვის მეთაურობით საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ქალაქ რუსეში გაიმართა მშრომელთა 30-ათასიანი მიტინგი. მიტინგზე გამოვიდა მთავრობის დელეგაციის წევრი ვილკო ჩერვენკოვი. მან აღნიშნა განსაკუთრებით გულითადი და გულთბილი მიღება, რომელიც ბულგარეთის მთავრობის დელეგაციას საბჭოთა კავშირში მოუწყეს, და ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა მთავრობისა და ბულგარეთის მთავრობის აზრის სრული ერთიანობა და ერთსულოვნება, რომლებიც მოლაპარაკების დროს გამოვლინდა.

ვილკო ჩერვენკოვმა აღნიშნა იმ ეკონომიური დახმარების უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას უწევს. დასასრულ მან თქვა, რომ ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა დელეგაციებისა და პარტიული დელეგაციების შეხვედრა, მათ შორის საუბრები და მოლაპარაკება, ერთობლივად მიღებული დეკლარაცია და განცხადება, უეჭველია, დიდი წვლილი იქნება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ცხოველმყოფელი მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში, ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთს შორის კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და ბულგარეთში სოციალისტური მშენებლობის ახალ წარმატებას. ისინი იქნება წვლილი სოციალისტური ბანაკის განმტკიცების საქმესა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

სოფია, 25 თებერვალი. (საქდესი). დღეს სოფიაში დაბრუნდა ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ანტონ იუგოვის მეთაურობით, რომელიც მეგობრული ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირში.

დელეგაციის შეხვედრა გადაიქცა დიდ ზეიმად, საბჭოთა კავშირისადმი ბულგარელი ხალხის დიდი მეგობრული გრძნობების დემონსტრაციად.

პარლამენტის არჩევნები ინდოეთში

დელი, 25 თებერვალი. (საქდესი). გუშინ ინდოეთში დაიწყო პარლამენტის სახალხო პალატისა და შტატების საკანონმდებლო კრებების არჩევნები.

პირველ დღეს კენჭისყრა მიმდინარეობდა პენჯაბისა და ორისის შტატების მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში.

წინასწარი ცნობებით, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 65-მდე პროცენტმა.

დღეს კენჭისყრა დაიწყო უტარ პრადეშის, ბომბეის, რაჯასტანის, მაისორის, ასამის, მატჰია პრადეშის, ანდჰრა პრადეშის შტატებში.

არჩევნების დაწყებასთან დაკავშირებით მკვეთრად გაძლიერდა სააგიტაციო კამპანია, რომელსაც პოლიტიკური პარტიები ეწევიან. მარტო გუშინ დელში, სადაც კენჭისყრა მოხდება 3 მარტს, გაიმართა 200-მდე საარჩევნო მიტინგი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი. (საქდესი). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის ორ სხდომაზე გრძელდებოდა კვიპროსის საკითხის განხილვა. დელეგატები გამოდიოდნენ რეზოლუციათა ოთხი პროექტის — საბერძნეთის ორი პროექტის, ინგლისისა და პანამის პროექტების გამო.

ტუნისის წარმომადგენელმა სლიმმა მხარი დაუჭირა საბერძნეთის რეზოლუციის პროექტებს.

შემდეგ გამოვიდა ინდოეთის წარმომადგენელი მენონი. მან წარადგინა რეზოლუციის ახალი პროექტი, რომელშიც გამოთქმულია „გულწრფელი სურვილი, რომ გამოინახოს მშვიდობიანი, დემოკრატიული და სამართლიანი გადაწყვეტა გაერთიანებული ერების წესდების პრინციპების შესაბამისად, და გამოთქმულია იმედი, რომ განახლდება და გაგრძელდება მოლაპარაკება ამ მიზნის მისაღწევად“. ინდოეთის რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირეს ცეილონის, გვატემალის, ირანის, ეკვადორისა და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა.

გვატემალის დელეგატმა შეიტანა წინადადება, რომ ინდოეთის პროექტს მიენიჭოს პრიორიტეტი კომიტეტში წარდგენილი ყველა პროექტისათვის კენჭისყრისას.

დილის სხდომის მსვლელობაში საბერძნეთისა და თურქეთის დელეგატებმა რამდენჯერმე აიღეს სიტყვა და „უარყოფდნენ“ განცხადებებსა და ფაქტებს, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარეს მოჰყავდა.

ინდონეზიის წარმომადგენელმა ხანიფახმა განაცხადა, რომ კვიპროსის საკითხზე რეზოლუციის ვერც ერთი პროექტი ვერ აკმაყოფილებს მთლიანად მის დელეგაციას. მთავარი ამოცანა ის არის, თქვა მან, რომ უზრუნველვყოთ კვიპროსელი ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლება. არ შეიძლება სტრატეგიული ინტერესების დამოწმებით ფეხქვეშ გათელონ ხალხის კანონიერი უფლებები. ინგლისმა, თქვა დასასრულ ხანიფახმა, რაც შეიძლება მალე უნდა თქვას უარი კვიპროსისადმი თავის კოლონიურ ბატონობაზე.

საბჭოთა კავშირის დელეგატმა ს. კ. ცარაპკინმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას განზრახული აქვს მხარი დაუჭიროს საბერძნეთის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტს, რომელშიც ლაპარაკია თვითგამორკვევის უფლებაზე. რაც შეეხება ორ პროექტს, რომლებშიც საბერძნეთი და ინგლისი ერთმანეთს უჩივიან, სსრ კავშირის დელეგაცია არ აპირებს მხარი დაუჭიროს ინგლისის საჩივარს, რადგან იგი ამახინჯებს ფაქტებს და „ტერორისტთა მოძრაობად“ სახავს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

საბჭოთა დელეგატმა გააკრიტიკა პანამის მიერ წარმოდგენილი პროექტი, როგორც არასაკმარისი და ისეთი, რომელიც მოითხოვს კვიპროსის საკითხის გადაწყვეტის გადადებას ერთი წლით მაინც, მაგრამ განაცხადა, რომ ხმას არ მისცემს მის წინააღმდეგ, რადგან მასში გათვალისწინებული პროცედურა ზიანს არ აყენებს კვიპროსის ხალხს.

აღნიშნა რა, რომ ინდოეთის რეზოლუციის პროექტშიც არის ნაკლოვანებანი, რამდენადაც იგი სჯერდება იმედის გამოთქმას, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება, ცარაპკინმა განაცხადა, რომ მიუხედავად ამისა, სსრ კავშირის დელეგაცია მხარს დაუჭერს ამ პროექტს, რადგან იგი იძლევა შესაძლებლობას ღია ვიქონიოთ კარი და კვიპროსის საკითხი დავტოვოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. საბჭოთა დელეგაციას, თქვა მან, რეზოლუციის პროექტი ესმის იმგვარად, რომ გათვალისწინებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებენ კვიპროსის ხალხის წარმომადგენლები.

ამის შემდეგ კომიტეტმა კენჭი უყარა ინდოეთის რეზოლუციის პროექტს, რომელსაც პრიორიტეტი მიენიჭა. ამ პროექტს ხმა მისცა 76 დელეგაციამ და თავი შეიკავა ორმა დელეგაციამ (ავღანეთმა და პანამამ). დანარჩენი პროექტებისათვის კენჭი არ უყრიათ, რადგან ირანის წარმომადგენლის მოწოდებით ამ პროექტების ავტორებს არ მოუთხოვიათ მათთვის კენჭისყრა.

ამით დამთავრდა კვიპროსის საკითხის განხილვა პოლიტიკურ კომიტეტში. კომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება 23 თებერვალს და მიეძღვნება დასავლეთ ირიანის საკითხის განხილვას.

ნიუ-იორკი, 24 თებერვალი. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ დილით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში დაიწყო ამ კომიტეტის დღის წესრიგის უკანასკნელი საკითხის — დასავლეთ ირიანის საკითხის განხილვა. პირველი გამოვიდა ინდონეზიის წარმომადგენელი სუჯარვო, მან აღნიშნა, რომ დასავლეთ ირიანის საკითხი გენერალური ასამბლეის განსახილველად შემოიტანა ქვეყნების მთელმა ჯგუფმა: ავღანეთმა, ბირმამ, კამბოჯამ, ცეილონმა, ეგვიპტემ, ინდოეთმა, ინდონეზიამ, ირანმა, ერაყმა, იორდანიამ, ლიბანმა, ლიბიამ, პაკისტანმა, საუდის არაბეთმა, სირიამ და იემენმა.

დავა დასავლეთ ირიანის გამო, თქვა სუჯარვომ, ექვსი წელია წამლავს ინდონეზიისა და ჰოლანდიის ურთიერთობას. ორმხრივი მოლაპარაკება, რომელიც გათვალისწინებული იყო შეთანხმებით ორივე ქვეყანას შორის, ჩაიშალა ჰოლანდიის მიზეზით, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა დასავლეთ ირიანისადმი თავისი კოლონიური ბატონობის შენარჩუნებას. ამან კიდევ უფრო გაამწვავა ორივე ქვეყნის ურთიერთობა.

უფრო ფართოდ, თქვა სუჯარვომ, განსახილველი საკითხი კოლონიური პრობლემის გადაუჭრელი ნაწილია. აღნიშნა რა, რომ დასავლეთ ირიანის საკითხი მესამეჯერ არის დასმული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ინდონეზიის დელეგატმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოვალეა ახალი ღონისძიებები განახორციელოს დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის გამოსანახავად.

ინდონეზიის დელეგატმა იმედი გამოთქვა, რომ პოლიტიკური კომიტეტი „შეძლებს შეიმუშაოს რეზოლუცია, რომელიც უფრო აქტიურად შეუწყობს ხელს დაინტერესებულ მხარეებს მიაღწიონ მშვიდობიან გადაწყვეტას, რომლის იმედიც აქვს არა მარტო ინდონეზიას, არამედ, უნდა ვიფიქროთ, ჰოლანდიასაც და მსოფლიოს მეტად მნიშვნელოვან ნაწილს — აზიასა და აფრიკას“.

სუჯარვომ ცხადყო, რომ დასავლეთი ირიანი ინდონეზიის შემადგენელი ნაწილია და რომ მისი მოსახლეობა ინდონეზიელია. ინდონეზია მთლიანად და მთელი იქ მოსახლე ხალხები ბრძოლას ეწეოდნენ მთელი ინდონეზიის დამოუკიდებლობისათვის. ჰოლანდიის მთავრობის უარი გადასცეს ინდონეზიას მისი ტერიტორიის ნაწილი, ხაზგასმით აღნიშნა სუჯარვომ, არის ცდა შეინარჩუნონ კოლონიური ბატონობა ინდონეზიის ტერიტორიის ნაწილზე. ინდონეზიელი ხალხი არასოდეს არ დაეთანხმება ამას.

დასასრულ სუჯარვომ იმედი გამოთქვა, რომ ჰოლანდიის მთავრობა შეიცვლის პოზიციას და უარს იტყვის კოლონიალისტურ პრეტენზიებზე. მან მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ხელი შეუწყოს დასავლეთ ირიანის პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას.

სუჯარვოს შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ჰოლანდიის წარმომადგენელმა სხურმანმა.

იგი ამტკიცებდა, რომ ინდონეზიას თითქოს არ აქვს საფუძვლები განაცხადოს პრეტენზია დასავლეთ ირიანისადმი სუვერენიტეტზე და თითქოს ყოველი რეკომენდაცია, რომელსაც გენერალური ასამბლეა ამ საკითხზე მიიღებს, რა შინაარსისაც უნდა იყოს ეს რეკომენდაცია, „აუცილებლად იქნება გენერალური ასამბლეის უსაფუძვლო და უმართებულო ჩარევა და ჰოლანდიის ტერიტორიული მთლიანობის უკანონო დარღვევა“.

თავისი სიტყვის დასასრულს ჰოლანდიის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა არც კი აპირებს რაიმე მოლაპარაკება გამართოს ინდონეზიის მთავრობასთან დასავლეთ ირიანის მომავალი ბედის შესახებ.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარყვეს საბჭოთა წინადადება იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტი მინისტრთა დონეზე

ლონდონი, 23 თებერვალი. (საქდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლოჯმა წერილში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვისადმი განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარყვეს საბჭოთა კავშირის წინადადება — მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

ლოჯი ამ უარს იმით ასაბუთებს, რომ, თითქოს ასეთი სხდომა „ნაადრევი“ იქნებოდა, რამდენადაც მიღწეული არ არის „დამაკმაყოფილებელი პროგრესი“ განიარაღების საკითხის უფრო დაბალ დონეზე განხილვის დროს.

დამთავრდა ჩრდილოეთის საბჭოს მე-5 სესია

ჰელსინკი, 23 თებერვალი. (საქდესი). მუშაობა დაამთავრა ჩრდილოეთის საბჭოს მეხუთე სესიამ, რომელიც 15 თებერვალს გაიხსნა. უკანასკნელ სხდომაზე საბჭომ მიიღო მთელი რიგი რეკომენდაციები მთავრობებისადმი, კერძოდ, რეკომენდაცია თანამშრომლობის შესახებ სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ორგანიზაციის საქმეში, აგრეთვე რეკომენდაცია ჩრდილოეთ ზღვაში მაშველი სამსახურის მოწყობის საკითხზე. შეიქმნა კომიტეტები, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ ჩრდილოეთის ქვეყნების მოქალაქეების იურიდიულ უფლებათა საკითხი და შეისწავლონ ყველა ამ ქვეყანაში ექიმებისათვის სამუშაოს მიცემის შესაძლებლობანი. საბჭოს წესდებაში შეტანილია ზოგიერთი ცვლილებანი.

უფრო ადრე მოწონებულ იქნა რეკომენდაციები ჩრდილოეთის ქვეყნების თეორიული ატომური ფიზიკის ერთობლივი ინსტიტუტის შექმნის, შორეულ ჩრდილოეთში ფინეთისა და ნორვეგიის ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ, ნორვეგიის, ფინეთისა და შვეციის ჩრდილოეთი რაიონებისათვის გაერთიანებული სამეცნიერო-საკვლევი სამედიცინო ინსტიტუტის შექმნის შესახებ.

ამჟამად ჯერ კიდევ შეუძლებელია ითქვას, თუ რა პრაქტიკული შედეგები მოჰყვება სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამის თაობაზე გაზეთი „ჰელსინგინ სანომატი“ წერს: „ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თუ რას მივიღებთ ახლანდელი სესიის შედეგად“.

დისკუსიამ ჩრდილოეთის ქვეყნების საერთო ბაზრის შექმნის შესახებ სერიოზული უთანხმოება გამოამჟღავნა ამ ქვეყნებს შორის და ცხადყო მათი სხვადასხვა დამოკიდებულება როგორც ჩრდილოეთის ბაზრის, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნების საერთო ბაზრისადმი.

არაბთა ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირი

კაირო, 25 თებერვალი. (საქდესი). ცნობაში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა ეგვიპტის, სირიის, საუდის არაბეთისა და იორდანიის სახელმწიფოთა მეთაურების დღევანდელი პირველი სხდომის დამთავრების შემდეგ, ნათქვამია, რომ თათბირის მონაწილეებმა მიმოხილვა გაუკეთეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას საერთოდ და არაბთა პრობლემებს, კერძოდ ცნობაში აღნიშნულია, რომ დღევანდელ შეხვედრაზე გაგრძელდა საკითხების განხილვა, რომელიც დაიწყო არაბთა სახელმწიფოების მეთაურების წინა თათბირზე კაიროში ამა წლის 19 იანვარს. განხილვა მიმდინარეობს იმ ამბებთან დაკავშირებით, რაც უკანასკნელი თათბირის შემდეგ მოხდა.

სახელმწიფოთა მეთაურების შემდეგი სხდომა 26 თებერვალს გაიმართება.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს განცხადება

დელი, 23 თებერვალი. (საქდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელიც გუშინ წინასაარჩევნო მიტინგზე გამოვიდა ჰაიდერაბადში, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარებას პაკისტანისადმი და ორი ეროვნების შესახებ პაკისტანის თეორიისათვის ინგლისის მხარდაჭერას შეუძლია საშიში მდგომარეობა და კონფლიქტი გამოიწვიოს.

ნერუმ თავის სიტყვაში დაგმო სამხედრო პაქტები და სამხედრო დახმარება და განაცხადა, რომ ერთიცა და მეორეც ზრდის ომის საფრთხეს. დარწმუნებული ვარ, თქვა ნერუმ, რომ სეატოს პაქტს ვითარება არ შეუცვლია მშვიდობის სასარგებლოდ, არამედ გააუარესა ეს ვითარება და უფრო დაძაბული გახადა იგი. ბაღდადის პაქტმაც ათასობით პრობლემა შექმნა დასავლეთ აზიაში... ნერუმ კვლავ გაიმეორა, რომ ინდოეთი არავითარ გარემოებაში არ მისცემს ნებას უცხოეთის ჯარებს მის ტერიტორიაზე შემოვიდნენ.

პაკისტანის ლიდერებმა, განაგრძო ნერუმ, აშკარად განაცხადეს, რომ სამხედრო დახმარება, რასაც პაკისტანი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან იღებს, მათ შორის ატომური იარაღი, გამოყენებულ იქნება ინდოეთის წინააღმდეგ. ნერუმ თქვა, რომ ამ სამხედრო დახმარების გაწევა პაკისტანისათვის შეშფოთებას იწვევს ინდოეთში და აიძულებს მას განამტკიცოს თავისი შეიარაღებული ძალები.

პრემიერ-მინისტრმა მიმართა ინდოელ ხალხს მოწოდებით იყოს მზად, რათა ღირსეული პასუხი გასცეს ინდოეთის თავისუფლებისათვის მოვლენილ ყოველგვარ საფრთხეს.

კისი აირჩიეს იაპონიის პრემიერ-მინისტრად

ტოკიო, 25 თებერვალი. (საქდესი). დღეს პარლამენტში გაიმართა იაპონიის ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევნები გადამდგარი ტანძან ისიბასის ნაცვლად. კენჭისყრის შედეგად პრემიერ-მინისტრი გახდა ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ნობუსუკე კისი, რომელიც ისიბასის კაბინეტში საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. კისი შეუდგა კაბინეტის ჩამოყალიბებას.

ჩამოყალიბდა იაპონიის ახალი კაბინეტი

ტოკიო, 25 თებერვალი. (საქდესი). პრემიერ-მინისტრმა ნობუსუკე კისიმ ჩამოაყალიბა ახალი კაბინეტი. კისი შეასრულებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას. ახალი კაბინეტის შემადგენლობა წინანდელი დარჩა, გარდა იმისა, რომ კაბინეტში შეყვანილია ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ისიი როგორც უპორტფელო მინისტრი. როგორც პრესა იუწყება, პრემიერ-მინისტრმა კისიმ განაცხადა, რომ განაგრძობს პოლიტიკას, რომელიც მისმა წინამორბედმა ისიბასმა ჩამოაყალიბა.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 25 თებერვალი. (საქდესი). უპასუხა რა კითხვებზე თემთა პალატაში, პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა არსებითად გაილაშქრა ისრაელისადმი სანქციების გამოყენების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი უარს იტყვის გაიყვანოს თავისი ჯარები ეგვიპტის ტერიტორიიდან — ღაზის რაიონიდან და აქაბის ყურის სანაპიროდან.

განმარტა რა ინგლისის მთავრობის პოზიცია, მაკმილანმა თქვა, რომ ღაზის რაიონიდან ისრაელმა უნდა გაიყვანოს ჯარი, მაგრამ ინგლისის მთავრობას მიაჩნია, რომ ეს რაიონი უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამგებლობაში და რომ იქ უნდა განალაგონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები.

გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში


ეროვნული ბიბლიოთეკა

24 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა XXIII მსოფლიო ჩემპიონატი და ევროპის XXXV ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ი. ნიკიფოროვი სსრ კავშირის ჰოკეის სექციის საორგანიზაციო კომიტეტისა და საბჭოთა სპორტული საზოგადოებრიობის დავალებით გულითადად მიესალმა შეჯიბრების მონაწილეთ.

ყინულზე ჰოკეის საერთაშორისო ლიგის ევროპის პრეზიდენტი ბ-ნი დ. აჰერნი (ინგლისი) მადლობას იხდის შეჯიბრების კარგი მომზადებისათვის და მიესალმება ჰოკეისტებს.

ჩემპიონატი გაიხსნა. გაისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. ნორჩი ფიგურისტი გოგონები ყვავილების თაიგულებს გადასცემენ გუნდებს.

წილისყრით პირველნი ხვდებიან ერთმანეთს შვეციისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰოკეისტები.

მატჩი დამთავრდა შვედი ჰოკეისტების გამარჯვებით ანგარიშით 11:1.

მაყურებელნი მოუთმენლად ელოდნენ სსრ კავშირის გუნდის გამოსვლას. იგი თამაშობდა იაპონიის გუნდთან. პირველი წუთებიდანვე იგრძნობოდა საბჭოთა ჰოკეისტების უპირატესობა. განსაკუთრებით ენერგიულად თამაშობდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები. ანგარიშს ხსნის ალექსანდრე ჩერეპანოვი. შემდეგ პირველი პერიოდის დამთავრებამდე კონსტანტინე ლოკტევს, ვლადიმერ გრებენიკოვს და იური პანტიუხოვს კიდევ სამი შაიბა გააქვთ. მეორე და მესამე პერიოდებში ჩვენი ჰოკეისტების იერიშები კიდევ უფრო შედეგიანი ხდება. მეორე პერიოდში მათ მეტოქეთა კარში გააქვთ ექვსი შაიბა და იმდენივე მესამე პერიოდში.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 16:0 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

საღამოს მსოფლიო ჩემპიონატის თამაში გადაიტანეს „დინამოს“ სტადიონის საციგურაოზე. აქ მოეწყო ორი შეხვედრა. შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა ფინეთისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდებს შორის. გამარჯვება ანგარიშით 5:3 მოიპოვეს ფინელმა ჰოკეისტებმა.

გვიან საღამოს ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები შეხვდნენ ავსტრიის სპორტსმენებს. (საქდესი).

* * *

სურათზე: შვეციისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების მატჩის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ა. ბატანოვისა და ლ. დორენსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

რადისტების სრულიად საკავშირო შეჯიბრება

24 თებერვალს გაიმართა რადისტების სრულიად საკავშირო შეჯიბრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 39-ე წლისთავს. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რადიოკლუბების პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სვერდლოვსკის, ტაშკენტის და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების სპორტსმენები.

შეჯიბრების მონაწილენი იღებდნენ ასოთა დეპეშების ტექსტს წუთში 120 ნიშნის სისწრაფით, ხოლო ციფრებს წუთში 110-ნიშნის სისწრაფით.

კარგი შედეგები უჩვენეს მოსკოვის რადიომოყვარულთა სპორტის ოსტატებმა გალინა პატკომ და ზინაიდა კუბიხმა. მათ მიიღეს ყველა საკონტროლო რადიოდეპეშა.

უძლიერეს კალათბურთელთა ასპარეზობა

რიგა. 26 თებერვალი. (ტელეფონით სპეც. კორ.). გუშინ რიგაში გაიმართა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კალათბურთელთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის მორიგი შეხვედრები.

ვაჟთა გუნდებს შორის საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა თბილისის „დინამოსა“ და რიგის „სპარტაკის“ გუნდების შეხვედრა. პირველ ტაიმში ინიციატივა მეტწილად დინამოელთა მხარეზე იყო, რომლებმაც ბრძოლის პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს 27:24. შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს იერიშები და მოიგეს მატჩი ანგარიშით 69:48.

ამავე დღეს სსრ კავშირის ჩემპიონმა რიგის ოფიცერთა სახლის გუნდმა დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი“ 102:66. ქალთა გუნდების შეხვედრებიდან გამოირჩეოდა რიგის „დაუგავასა“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდების შეჯიბრება. გაიმარჯვეს რიგელმა კალათბურთელებმა 55:45.

თეორიული კონფერენცია

27 თებერვალს საღამოს 7 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლში გაიმართება თეორიული კონფერენცია თემაზე: „შრომის ნაყოფიერების ზრდის გზები სოციალისტურ სამრეწველო საწარმოებში“.

რესპუბლიკური პირველობა ჭადრაკში

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება საქართველოს 1957 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში. 26 თებერვლამდე გათამაშებული იყო ექვსი ტური.

მეექვსე ტურში ლომაიამ დაამარცხა ელიოზიშვილი, კალატოზიშვილმა — გამრეკელი, ბრეიტმანმა — ბერაძე. ბუსლაევ-დემურია და ბლაგიძე-არნშტეინი ყაიმზე შეთანხმდნენ.

თხელიძე-კიკიანის, კაკაბაძე-თოთლაძის, იზვოზჩიკოვ-მორჩილაძისა და ჯანოევ-ქუჩუნიას პარტიები გადაიდო.

ექვსი ტურის შემდეგ წინ არიან დემურია, ლომაია და კალატოზიშვილი, რომლებსაც ხუთ-ხუთი ქულა აქვთ.

2 მარტს დღის 12 საათზე მოწვეულია საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მესამე პლენუმი აქტივთან ერთად.

პლენუმი ჩატარდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8).

საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა, რუსთაველის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, მარჯანიშვილის სახელობის — ხეები კვდებიან ზეზეულად, გრიბოედოვის სახელობის — ფილუმენა მარტურანო, სომხური დრამის — დ. დემირჩიანის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, მუსიკალური კომედიის — დალი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — უდანაშაულო დამნაშავენი (აბონემენტი № 18, 3 ს.), თოჯინების ქართული — თოვლის პაპა (11 ს.), ფილარმონია — ლატვიის სსრ სახელმწიფო აკადემიური გუნდის და საქართველოს სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 9 ს.), სომხეთის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის კონცერტი (ძერჟინსკის სახელობის კლუბში, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, 26 კომისრის სახელობის, ამირანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ქარიშხლის შემდეგ, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ვოროშილოვის სახელობის კლუბი — მტრული გრიგალი, თბილისი — ყალბი ფული (I და II სერია), სპარტაკი, კომკავშირელი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალური სახლი, დიდუბე — ჩვენი ეზო, კოლხიდა — კნოპკა და ანტონი, კოლმეურნე — შევხვდებით სტადიონზე, კიროვის სახელობის პარკი — თეთრხალათიანები, ოფიცერთა სახლი — ბირაჯ ბაზუ, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი — ბედნიერებასთან შეხვედრა.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქუთაისში, პედინსტიტუტის შენობაში (კიროვის ქუჩა № 55), 10 მარტს, 7, 21 აპრილს, 5, 19 მაისს და 3 ივნისს დილის 10 საათიდან იწარმოებს კონსულტაციები და ჩათვლა-გამოცდები ჩაუბარებელ საგნებში.

23-დან 31 მარტამდე კონსულტაციების მიღება შესაძლებელი იქნება ყოველდღე.

კონსულტაციებზე ქუთაისსა და მის მახლობელ რაიონებში მცხოვრებ სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

დედა ოლია, მეუღლე აკაკი, შვილები ოლეგ, მანონ, ძმა კოტე, რძალი თამარ შვილებით, სიძე მ. ქართველიშვილი იუწყებიან

ეთერ დავითის ასულ შენგელია-ცაგურიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-III, 5 ს. სამტრედიაში, გამოსვენება ბინიდან, რკინიგზის სახლი № 25.

შვილები ანდრო, ნადია, მარგო, რძალი მარო, სიძეები გ. ათაბეგოვი, მ. უგრეხელიძე ოჯახებით იუწყებიან

ბარნაბ ქაიხოსროს-ძე ჯანელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-III სოფ. დიმში (მაიაკოვსკის რ.).

ძმა სიმონ, და ქეთევან, რძალი ნატალია ოჯახებით იუწყებიან

ელენე გიორგის ასულ კორინთელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-II, 8 ს. გამოსვენება 28-II, 4½ ს. სტავროპოლის ქ. № 12.

მოქალაქე გივი კირილეს-ძე ლავრელაშვილმა, მცხოვრებმა ბათუმის ქ. № 9, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ეთერ მიხეილის ასულ ქამხაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ლამარა სურენის ასულმა მოსხოვამ**, მცხოვრებმა ვარციხის ქ. № 13, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გრიგოლ ბაგრატის-ძე სტეფანიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **მარგალიტა ილიას ასულმა მგელაძემ**, მცხოვრებმა ი. ნიკოლაძის შესახვევი, № 5, აღძრა საქმე კონდოლის ქ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე **გიორგი ხევერიანის-ძე ცოტაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

საპროექტო ინსტიტუტის „სოფლმშენსახპროექტის“ თანამშრომლები იუწყებიან არქიტექტორის

გიორგი ალექსანდრეს-ძე თავდგირიძის

გარდაცვალებას.

ვიქტორ, დომენტი, პროკოფი, ბორის ავალიანები იუწყებიან

ივანე სიმონის-ძე ავალიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-II სოფ. წითელ ვარსკვლავში (წულუკიძის რ.).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

მინაგო მელქისედეკის-ძე კანდელაკის

გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-78-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70. 3

უე 00758 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.